№11(12) 22.03.1994

# სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი

ფასი 40 კაპიკი

საქართველოს მენეჯერთა კავშირი


## ნომერშია:

**ინგლისელთა ტრიუმფი**

დამთავრდა ხუთი ერის პირველობა

მე-4 გვერდი

**ალექსანდრე მეტრეველი:**



„იმდენი მოახერხეს, საქმეს ჩამომაცილეს“

მე-6 გვერდი

**არივედერჩი, „მილან“**

ვინ იქნება ჩემპიონთა თასის ახალი მფლობელი?

მე-6 გვერდი

**24 წუთი — 19 ქულა**

მარჩიულიონისი პროფესიონალ „მეომრებთან“

მე-8 გვერდი




გია ახალაძის ფოტო

60 ათასამდე მაყურებელი დაესწრო საქართველოს საგაზაფხულო ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩს თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე. ამ ფოტოზე სწორედ რესპუბლიკის შარშანდელი ჩემპიონის თბილისის „იბერიისა“ და უმაღლესი ჯგუფის დებიუტანტის გურჯაანის „ალაზნის“ შეხვედრის მომენტია აღბეჭდილი.

## განხორციელდება რეიგანის იდეა?

### ბერლინი — ოლიმპიადის მასპინძლობის კანდიდატი

ბერლინმა საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ იწყებს ბრძოლას 2000 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად. ქალაქის მესვეურებმა უკვე შეიტანეს ოფიციალური განაცხადი გერმანიის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს იდეა გერმანელებს კი არ ეკუთვნით, არამედ... აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტს რონალდ რეიგანს. 1987 წელს დასავლეთ ბერლინში ყოფნისას მან წარმოთქვა სიტყვა, რომელმაც დასაბამი დაუდო ქალაქის ოლიმპიურ მისწრაფებას. „ამ ქალაქის ჩაუკეტაობის დასამტკიცებლად რა უნდა იყოს იმაზე უკეთესი, ვიდრე უახლოეს მომავალში ოლიმპიური თამაშების ჩატარება ქალაქის ორივე ნაწილში?“ — თქვა მაშინ რეიგანმა. 2000 წლის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქს დაასახელებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია 1993 წლის სექტემბერში მონტე-კარლოში. მანამდე კი ბერლინის მესვეურები დიდ სამზადისში იქნებიან, რომელიც უკვე დაიწყეს კიდეც. მისი მხარდაჭერის მიზნით გერმანიის სხვა ქალაქებმა (ჰამბურგი, შტუტგარტი, მაინის ფრანკფურტი...), რომელთაც მანამდე ოლიმპიური ამბიციები ამოძრავებდათ, მოხსნეს თავიანთი კანდიდატურები. ბერლინელთა იმედებს ფრთებს ისიც ასხამს, რომ 1996 წელს ოლიმპიადა ამერიკის კონტინენტზე, ქალაქ ატლანტაში ჩატარდება, რაც ზრდის ევროპელთა შანსს მომდევნო თამაშებისათვის. თუმცა ბერლინის ახლანდელ მეტოქეთა სიას სათავეში უდგას აზიის სახელმწიფოს ქალაქი — პეკინი.

სხვათა შორის, რეიგანის იდეას „კონტრშეტევით“ უპასუხა გდრ-ის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ერიკ ჰონეკერმა, რომელმაც მოგვიანებით ლაიპციგის კანდიდატურა წამოაყენა. სამაგიეროდ კიდევ უფრო გვიან ბერლინელები დააიმედა სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა, რომელმაც განაცხადა, რომ ოლიმპიადის ჩასატარებლად ბერლინი შეიძლება ძლიერი კანდიდატურა გახდესო.

ექსპერტები თვლიან, რომ ოლიმპიური თამაშებისთვის მომზადება ბერლინის ინფრასტრუქტურას 15-20 წლით წინ წასწევს.

## კასპაროვის პოლიტიკური ბრძოლა

ლინარესის დიდოსტატთა სუპერტურნირში არც ისე წარმატებული გამოსვლის შემდეგ (მეორე ადგილი) მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი უფრო ძნელ — პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაება. მან, როგორც პოლიტიკური პარტიის „დემოკრატიული რუსეთის“ მოსკოვის ორგანიზაციის ლიდერმა, „დუელში გამოიწვია“ მთელი ამ პარტიის ხელმძღვანელი, სახალხო დეპუტატი ნიკოლაი ტრავკინი. კასპაროვს გადაწყვეტილი აქვს ცალკე ფრაქცია შექმნას პარტიაში, თანაც წმინდა ანტიკომუნისტური ხასიათისა, და, თუკი საჭიროა, მოახერხოს ტრავკინის გადაყენება, მაგრამ ეს უკანასკნელიც საკმაოდ იმედიანად არის და აცხადებს, რომ კასპაროვი პარტიიდან მხოლოდ... საჭადრაკო დაფას თუ გაიტანს.

სხვათა შორის, ცნობილმა ფილოსოფოსმა ალექსანდრე ციპკომ „დემოკრატიულ რუსეთს“ უწოდა შემტევი „კომუნიზმის პარტია ეროვნული პოზიციითა და დაღუპული რუსეთის გადარჩენის სახელით“.

## დებიუტი და დებიუტანტი

მშვილდოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი დარბაზში პირველად მხოლოდ ახლახანს ჩატარდა ფინეთის ქალაქ ოულუში. და ამ პირველ ჩემპიონატში მონაწილეობდა თბილისელი ხათუნა ქრივიშვილიც. ჩემპიონატი არაოლიმპიურ დისტანციებზე, 18 და 25 მეტრზე სროლაში მიმდინარეობდა და ჰქონდა დუელის სახე: წინასწარი ეტაპის შემდეგ 16 საუკეთესო მსროლელი შეირჩა, რომლებიც შემდეგ თითო-თითო მეტოქეს ეჯიბრებოდნენ ფინალამდე.

ხათუნა ქრივიშვილმა, რომელსაც 1 იანვარს შეუსრულდა 17 წელი, მეხუთე ადგილი დაიკავა და ბევრი სახელოვანი მსროლელი ჩამოიტოვა უკან. სხვათა შორის, ფინეთში გერმანიიდან ორი გუნდი ჩავიდა; ერთი გფრ-ის ყოფილმა ფედერაციამ მიავლინა, მეორე გდრ-ისამ, რომლის წევრობა ფიტა-ში (საერთაშორისო ფედერაცია) ჯერ არ გაუქმებულა. მაგრამ მასპინძლებმა ამ გუნდს კატეგორიული უარი უთხრეს ასპარეზობაში დაშვებაზე.

## დღეს...

სახელოვანი ქართველი ფალავნის ანზორ კიკნაძის ხსოვნას ეძღვნება ჭაბუკ ძიუდოისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელიც წლეულს მეექვსედ იმართება თბილისის სპორტის სასახლეში. შეჯიბრებაში გამოდიან გერმანიის, პოლონეთის, ფინეთის, საფრანგეთის და საქართველოს სპორტსმენები. ჭაბუკები (1974-76 წლებში დაბადებულები) მედლებს 9 წონით კატეგორიაში გაითამაშებენ, გოგონები (1975-77) — 11 წონაში. ტურნირი 24 მარტს დამთავრდება.



1964 წელი. ტოკიო. XIII ოლიმპიადა. იაპონიის დედაქალაქში შედგა ძიუდოს ოლიმპიური დებიუტი. პირველ ლაურეატთა შორის იყო ანზორ კიკნაძე (სურათზე — მარჯვნივ). მან ოლეგ სტეფანოვთან, არონ ბოგოლიუბოვთან და ფარნაოზ ჩიქვილაძესთან ერთად ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

## ნონა მაინც ნონაა

ქალბატონმა ნონა გაფრინდაშვილმა პირველი ადგილი დაიკავა ბელგრადის ტრადიციულ ტურნირში, რომელიც საიუბილეო, 25-ე გახლდათ. ქართველმა დიდოსტატმა 9 შესაძლებლობიდან 6 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზეც ჩვენი მოჭადრაკე ქეთინო კახიანია, რომელიც უფროს კოლეგას ნახევარი ქულით ჩამორჩა. ტურნირი მე-11 კატეგორიისა იყო.

# დაიწყო!

დაიწყო საქართველოს ფეხბურთელთა მეორე ეროვნული ჩემპიონატი. შედგა პირველი ტურის მატჩები. ცხადია, ანალიზი და დასკვნების გამოტანა ჯერ ადრეა. შეიძლება მხოლოდ აღინიშნოს, რომ პირველმა ტურმა უსენსაციოდ ჩაიარა და ყველა ფავორიტმა გაიმარჯვა. სასიამოვნოა ისიც, რომ ათი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი დამთავრდა ფრედ, ხოლო შვიდ მატჩში სამი ან მეტი გოლი გავიდა. საკუთარ მოედანზე ორი გუნდი დამარცხდა. ოზურგეთის „მერცხალი“ სამტრედიის „სანავარდოსთან“ — 1:2 და გორის „დილა“ თავის შარშანდელ მეზობელთან სატურნირო ცხრილში, ხობის „კოლხეთთან“ — 0:3. ერთგვარ მოულოდნელობად მხოლოდ ამ უკანასკნელი შეხვედრის ანგარიში შეიძლება მივიჩნიოთ.

სეზონის გახსნის მატჩში თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ შარშანდელი ჩემპიონი — თბილისის „იბერია“ და უმაღლესი ჯგუფის დებიუტანტი — გურჯაანის „ალაზანი“. შეხვედრას 60 ათასამდე მაყურებელი დაესწრო, რაც ალბათ სეზონის გახსნამ, კარგმა ამინდმა და საფეხბურთო ლატარეაში იტალიური მანქანების — „ტიპოს“ გათამაშებამ განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ „იბერიამ“ შეხვედრა დიდი ანგარიშით მოიგო (3:0), არც „ალაზანს“ შეურცხვენია თავი, მით უფრო მეორე ტაიმში. მატჩის შემდეგ სახელდახელო ინტერვიუ ჩამოვართვი „ალაზნის“ მთავარ მწვრთნელს ალიოშა არევაძეს და თბილისის „იბერიის“ მოთამაშეს, შარშანდელი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელს თემურ ქეცბაიას.

ბატონი ალიოშა, როგორც თავად აღნიშნა, ორმაგ გრძნობას განიცდიდა: უკმაყოფილებას შეხვედრის შედეგით და კმაყოფილებას იმით, რომ მისმა გუნდმა საქართველოს ჩემპიონს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია.

— დღეს „ალაზანმა“ ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშა... ეს ნერვიულობის ბრალია. გუნდი პირველად გამოვიდა ეროვნულ სტადიონზე, მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე. დაწყნარებას დრო დასჭირდა. შეხვედრა ხომ ფაქტობრივად პირველ ოცდაათ წუთში წავაგეთ.

**— რას ელოდით?**

— ფრეს. მთელი თამაში ისე რომ ჩაგვეტარებინა, როგორც მეორე ტაიმი, შესაძლოა მიგვეღწია კიდეც სასურველი შედეგისათვის.

**— მოედანზე საუკეთესო შემადგენლობით გამოხვედით?**

— არა. რამდენიმე ფეხბურთელი ავად იყო. ჯერჯერობით ვერ ვიყენებთ ეისკის „სტარტიდან“ მოწვეულ ნახევარმცველს ოლეგ შეხვატოვსაც, რადგან ზოგიერთი ფორმალური საკითხი კიდევ არ არის მოგვარებული.

**— თქვენი მოთამაშეებისგან ვის გამოყოფდით?**

— თეთრაულს, ზაალიშვილს და კობახიძეს.

თემურ ქეცბაიას უზარმაზარი ლარნაკით ხელში (რომელიც მას ბორის პაიჭაძის ოჯახმა გადასცა პირველი ბურთის გატანისათვის) გასახდელიდან ავტობუსისაკენ მიეჩქარებოდა.

**— თემურ, გილოცავ პირველ გოლს. ძალიან ლამაზი იყო...**

— ეს ვარჯიშის შედეგია.

**— „ალაზანზე“ რას იტყვი?**

— „ალაზნისაგან“ უფრო სუსტ თამაშს ველოდი.

**— შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?**

— ისე, რა.

ილია ბაბუნაშვილი



გია ახალაძის ფოტო

თბილისის „იბერია“ — გურჯაანის „ალაზანი“

## ჰეთ-თრიკი

„შევარდენი-1906“-ის თავდამსხმელმა გივი ქობელაშვილმა ბათუმელებთან შეხვედრაში სამი გოლი გაიტანა. მას პირველ ტურშიც ჰქონდა ერთი გოლი გატანილი. ასე რომ, ორი ტურის შემდეგ იგი ბომბარდირთა სიაში ჯერ-ჯერობით პირველია.

**— გივი, რამ განაპირობა გუნდის და პირადად შენი ასეთი წარმატება?**

— დიდმა მონდომებამ. არც ველოდით, თუ ბათუმელები ასე სუსტად ითამაშებდნენ. მატჩის განმავლობაში ბურთს ისინი უფრო ხშირად ფლობდნენ ვიდრე ჩვენ, მაგრამ დაცვაში უხეშად ცდებოდნენ.

**— ფოთშიც ხომ გაიტანე გოლი...**

— გოლი კი გავიტანე, მაგრამ წავაგეთ. არც იმ თამაშისათვის ვიყავით სუსტად მომზადებული. ჩვენი მეკარის ერთი შეცდომა რომ არა...

**— წელს რისი იმედი უნდა ჰქონდეს „შევარდენის“ გულშემატკივარს?**

— შარშან სეზონი ძალიან ცუდად დავიწყეთ და ამან ფსიქოლოგიურად გაგვტეხა. შემდეგ თითქოს გამოვასწორეთ მდგომარეობა, მაგრამ საბოლოოდ მაინც სუსტად ვითამაშეთ. წელს გუნდი უფრო ძლიერია. ჩვენი პროგრამა მინიმუმია ათეულში მოხვედრა, მაქსიმუმი... ვნახოთ.

**— დიდი ხანია, რაც „შევარდენში“ თამაშობ?**

— „შევარდენის“ საფეხბურთო სკოლის აღზრდილი ვარ. 1978 წელს უკვე გუნდში ვთამაშობდი. 1980 წელს ლანჩხუთის „გურიაში“ გადავედი, შემდეგ ისევ დავბრუნდი. ცოტა ხანი ბათუმის „დინამოშიც“ ვითამაშე, შემდეგ ჯარში გამიწვიეს. შარშანდლიდან ისევ „შევარდენში“ ვარ.

## სჯობს ახალგაზრდა შეცდეს

ძნელია დიდი ანგარიშით წაგებული შეხვედრის შემდეგ ინტერვიუ მისცე, მაგრამ საფეხბურთო კლუბ „ბათუმის“ უფროსი თამაზ ცინარიძე ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე შევიპირე სასაუბროდ...

— ჩვენი ძირითადი ხარვეზია დაცვა. ეს დღევანდელმა მატჩმაც ნათელჰყო. „შევარდენმა“ თამაშით კი არ დაგვჯაბნა, ჩვენ დავუშვით დაცვაში შეცდომები. გოლის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობაც ვერ გამოვიყენეთ. ვერც ფეხბურთელებიდან გამოვყოფ ვინმეს.

**— რა სირთულეების წინაშე დგას ბათუმის გუნდი?**

— მიმდინარეობს თაობათა ცვლა, ეს კი მეტად მტკივნეული პროცესია. ფეხბურთელებს სხვაგან არ ვეძებთ, ვმუშაობთ ადგილობრივ ახალგაზრდებთან. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ვეტერანებს გუნდიდან დაუფიქრებლად ვუშვებდეთ, მაგრამ ჩვენ ჩვენი პრინციპი გვაქვს. კერძოდ, გვირჩევნია ახალგაზრდამ წაიბორძიკოს, შეცდომა დაუშვას, მაგრამ გამოცდილება მიიღოს, ვიდრე ითამაშოს იმ ვეტერანმა, რომელსაც შესაძლოა გამოცდილება აქვს, მაგრამ ასაკის გამო ხვალ-ზეგ გუნდის დატოვება მოუწევს.

**— შარშან „ბათუმი“ ერთ-ერთი ძლიერი გუნდთაგანი იყო...**

— ვეცდებით შარშანდელზე უკეთ ვითამაშოთ. ვიბრძოლებთ ხუთეულისათვის, მაგრამ გვაქვს მეორე ამოცანაც. გვინდა საგაზაფხულო ჩემპიონატი ახალი გუნდის ჩამოსაყალიბებლად გამოვიყენოთ.

**— მაყურებლის პრობლემა თუ გაქვთ?**

— როგორ არა. როდესაც სსრკ ჩემპიონატის პირველ ლიგაში გამოვდიოდით, გაცილებით მეტი ხალხი დადიოდა სტადიონზე. ბევრი ამას იმით ასაბუთებს, თითქოს ეროვნული ჩემპიონატი დაბალი დონის შეჯიბრება იყოს. ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ მაყურებლის მოსაზიდად. ფეხბურთი უმაყურებლოდ ხომ წარმოუდგენელია.

ესაუბრა ილია ბაბუნაშვილი.

სადღეისოდ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლესი ჯგუფის გუნდებში ექვსი მოწვეული ფეხბურთელი გამოდის:

ხობის „კოლხეთი“

ვიქტორ პიმუშინი (1955 წ.) თავდამსხმელი (კემეროვოს „კუზბასი“); ბორის სპირინი (1970 წ.) ნახევარმცველი (მოსკოვის „დინამო-2“).

ხაშურის „ივერია“

ალგიმანდას ბრიაუნისი (1964 წ.) მეკარე (ვილნიუსის „ჟალგირისი“); ვალერი კისელიოვი (1967 წ.) მცველი (კლაიპედის „ატლანტასი“).

ოჩამჩირის „ამირანი“

სერგეი შიროკინი (1967 წ.) მცველი (მინსკის „დინამო“); სერგეი გომონოვი (1961 წ.) მცველი (მინსკის „დინამო“).

## I ტური

იბერია — ალაზანი 3:0
გურია — მარგვეთი 3:1
გორდა — სულორი 2:0
ქუთაისი — ამირანი 2:0
კოლხეთი-1913 — შევარდენი-1906 3:1
ბათუმი — ივერია 3:0
ცხუმი — სამგურალი 0:0
ოდიში — მზიური 3:0
მერცხალი — სანავარდო 1:2
დილა — კოლხეთი 0:3

## II ტური

ალაზანი — კოლხეთი 1:0
სანავარდო — დილა 1:3
მზიური — მერცხალი 0:0
სამგურალი — ოდიში 1:0
ივერია — ცხუმი 0:2
შევარდენი-1906 — ბათუმი 4:1
ამირანი — კოლხეთი-1913
სულორი — ქუთაისი 1:1
მარგვეთი — გორდა 2:0
იბერია — გურია

# ისევ საკავშირო ჩემპიონატში

ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ახსოვთ, რა აჟიოტაჟი გამოიწვია ამ ერთი წლის წინ (1990 წლის 17 მარტს) სოხუმის „დინამოს“ ხელმძღვანელებისა, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის და სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საოლქო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომ ეს გუნდი აგრძელებს თამაშს საკავშირო ჩემპიონატში და პირველი ლიგის ტურნირში იასპარეზებს.

გუნდის რვა საუკეთესო ფეხბურთელმა, გუნდის მეორე მწვრთნელმა, ადმინისტრატორმა, ექიმმა და კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა გამოიჩინეს ნამდვილი პატრიოტიზმი და არ დაეთანხმნენ ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას. საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მათ ბაზაზე შეიქმნა ახალი საფეხბურთო კლუბი „ცხუმი“. რომელმაც სულ მალე დაიმსახურა გულშემატკივრების სიყვარული.

სოხუმის „დინამომ“ შარშან რუსეთიდან მოიწვია 7 ფეხბურთელი (მათ შორის 5 მოსკოვის „დინამოდან“ და „დინამო-2“-დან, მაგრამ, მიუხედავად ასეთი შევსებისა, საკავშირო ჩემპიონატის პირველი ლიგის ტურნირში მე-12 ადგილზე დარჩა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ „ცხუმიცა“ და „დინამოც“ ერთ სტადიონზე თამაშობენ, ფეხბურთელებს შორის კარგი ურთიერთობაა. შარშან, დეკემბერში, სოხუმში გავრცელდა ხმა, თითქოს „დინამო“ და „ცხუმი“ ერთიანდებოდნენ და საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ერთი გუნდის სახელით გამოვიდოდნენ. ზოგიერთი გულშემატკივარი ამტკიცებდა, რომ გუნდების გაერთიანების საკითხი გადაწყდებოდა დეკემბერში, აფხაზურ-ქართული პოლიტიკური კონსულტაციების დროს, რომელიც აფხაზეთში ვითარების მთლიან ნორმალიზაციას, ორ ერს შორის ურთიერთპატივისცემის აღდგენას და მშვიდობის განმტკიცებას უნდა მიძღვნოდა.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ვლადისლავ არძინბამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ აფხაზურ-ქართული პოლიტიკური კონსულტაციების დროს „დინამოსა“ და „ცხუმის“ შესახებ არ უმსჯელიათ, შემდეგ კი დასძინა, ეს საკითხი თავად სპორტსმენებმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა უნდა გადაწყვიტონო. ვლადისლავ არძინბამ ხაზი გაუსვა იმას, რომ თავად, როგორც რიგითი გულშემატკივარი, მომხრეა გუნდის საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობისა.

იანვარში კი სოხუმის ორივე გუნდმა დაიწყო მზადება ახალი სეზონისათვის — „ცხუმი“ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გამოდის, „დინამო“ ისევ საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში იასპარეზებს.

საქართველოს ფეხბურთის გულშემატკივრები ინფორმირებული არიან რა ცვლილებები მოხდა „ცხუმში“, როგორ მოემზადა იგი ეროვნული ჩემპიონატისთვის.

რასაკვირველია, უნდა ვიცოდეთ, რა ცვლილებები მოხდა სოხუმის „დინამოში“, რა შევსება მიიღო მან სხვა რესპუბლიკებიდან, როგორ იყენებს ადგილობრივ ფეხბურთელებს. სეზონის დამთავრების შემდეგ „დინამო“ დატოვა სამმა წამყვანმა მოთამაშემ — მეკარე ს.ოვჩინიკოვმა, მცველმა რ.საბიტოვმა და თავდამსხმელმა ა.სმირნოვმა, რომლებიც შარშან ჩამოიყვანეს მოსკოვიდან და სულ ერთ წელიწადს თამაშობდნენ სოხუმის გუნდში. ახლა ისინი მოსკოვის „ლოკომოტივის“ წევრები არიან.

ა.ჩეკუნოვი, ს.არუთინიანი და ი.შაპტიცკი სოხუმის „დინამოდან“ სოჭის ახალშექმნილ გუნდში „ჟემჩუჟინაში“ გადავიდნენ, რომელიც საკავშირო ჩემპიონატის მეორე ლიგის ერთ-ერთ ზონაში გამოდის. როგორც შევიტყვეთ, თავდაპირველად ამ გუნდში აპირებდა გადასვლას სოხუმის „დინამოს“ კიდევ ერთი წამყვანი მოთამაშე, 27 წლის რომან ხაგბა, რომელიც თავის დროზე ქუთაისის „ტორპედოს“ წევრი იყო და სწორედ იქ ჩამოყალიბდა ფეხბურთელად.

ამას წინათ კი გამოცხადდა, რომ რომან ხაგბა რჩება სოხუმის „დინამოში“ და რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი ოლეგ დოლმატოვი დიდ იმედებს ამყარებს მასზე.

წლევანდელ სეზონში სოხუმის „დინამოში“ სხვა რესპუბლიკებიდან მოწვეული ფეხბურთელებიც გამოვლენ: გ.ტიმოფეევი, ლენინგრადის „ზენიტიდან“, ლ.ბერეზნერი, მოსკოვის „დინამოდან“, ა.კობლევი, მაიკოპის „დრუჟბიდან“ და დუშანბედან ჩამოსული ა.მუსტაფაევი. გუნდში მოწვეულია აგრეთვე რამდენიმე ადგილობრივი ახალგაზრდა ფეხბურთელი, ავადმყოფობის შემდეგ „დინამოს“ დაუბრუნდა გუდაუთელი ჯ.გუბაზი. შეიძლება რამდენიმე ფეხბურთელი რესპუბლიკის გარედან კიდევ მიიწვიონ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „დინამოს“ ერთ-ერთი წამყვანი მცველი გ.ბონდარუკი (ეს წარმოშობით ბიჭვინთელი ფეხბურთელი რამდენიმე წელიწადს ლანჩხუთის „გურიაში“ გამოდიოდა) დნეპროპეტროვსკის „დნეპრში“ მიიწვიეს.

როგორც ვხედავთ, სოხუმის „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობა წლეულს (ისევე როგორც შარშან) სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოყვანილი ფეხბურთელებით იქნება დაკომპლექტებული. იანვარ-თებერვალში დინამოელებმა ეშერასა და ალახაძეში რამდენიმე საწვრთნელი მატჩი ჩაატარეს ვოლგოგრადის, ვლადიკავკაზის, ჩიმკენტის, კიშინიოვის, ალმა-ათის, იოშკარ-ოლის გუნდებთან.

ბოლოს უნდა ითქვას, რომ სოხუმის „დინამოს“ ხელმძღვანელები დიდ იმედებს ამყარებენ შევსებაზე გაგრის „დინამოდან“, რომელიც საკავშირო ფედერაციამ წლეულს დაუშვა საკავშირო ჩემპიონატის მეორე ლიგის ტურნირში. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

თენგიზ პაჭკორია

სოხუმი.

მძლეოსნობა

სევილიაში ჩატარებულ მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატში დახურულ დარბაზებში, არ მონაწილეობდა პლანეტის ერთ-ერთი უძლიერესი სპრინტერი, მსოფლიო რეკორდსმენი 60 მეტრზე რბენაში ამერიკელი ლეროი ბარელი. იგი მოვლენათა მსვლელობას ტელევიზიით ადევნებდა თვალს. „ბოროტი ენები" ამტკიცებენ, რომ იგი მოერიდა კანადელ ბენ ჯონსონთან შეხვედრას — ვიღაც ცეცხლზე ნავთის დასხმას ლამობს, — განაცხადა ამის პასუხად ლეროი ბარელმა ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში — მაგრამ წონასწორობიდან ჩემი გამოყვანა ძნელია. ასეთ ჭორებზე არ ვრეაგირებ. მე ჩემი პრინციპები მაქვს. სარბენ ბილიკზე როცა გავდივარ, ჩემთვის სულერთია ვინ მორბის გვერდით. მე არ ვფიქრობ არც ჯონსონზე, არც ლუისზე. ჩემი მთავარი მეტოქე მევე ვარ.

# ლეროი ბარელი: „მე ჯადოქარი არა ვარ"



**— მაშ რითი აიხსნება თქვენი არყოფნა სევილიაში?**

— მე ვემზადები ღია სტადიონებზე სტარტებისათვის. მიმდინარე სეზონში ჩემი მთავარი მიზანია ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატი.

**— გვითხარით, რამდენად გამართლდა სევილიის ჩემპიონატთან დაკავშირებული თქვენი პროგნოზი?**

— მე დარწმუნებული ვიყავი, რომ რომელიმე ჩემი თანამემამულე გაიმარჯვებდა. ასეც მოხდა. კესონი ყველაზე უკეთ იყო მომზადებული.

**— რატომ გეპარებოდათ ეჭვი ჯონსონის გამარჯვებაში?**

— ამ ეტაპზე იგი არც ფიზიკურად და არც ფსიქოლოგიურად არაა მზად დიდი გამარჯვებებისათვის.

**— მაგრამ ბენიც იმედოვნებს, რომ ტოკიოში გაიმარჯვებს.**

— შესაძლოა. თუ ამ დროისთვის იგი კარგ ფორმაში იქნება, სპრინტერთა ასპარეზობა ჩემპიონატის კულმინაციად იქცევა.

**— ასეთ შემთხვევაში, თქვენი აზრით, ვის დარჩება გამარჯვება?**

— მე და ლუისს მეტი შანსი გვაქვს.

**— თქვენ შეგიძლიათ ასმეტრიან დისტანციაზეც გაიმეოროთ ისეთივე საწაული, რაც მადრიდში სარეკორდო გარბენისას მოახერხეთ?**

— ყველაფერი მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული. მეტი მუშაობაა საჭირო და თუ საქმე კარგად წავიდა, ვფიქრობ, ას მეტრზე მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებასაც შევძლებ.

**— თქვენი რეკორდი დარბაზებისათვის შეუძლებელია არ ალაფრთოვანებდეს კაცს. ალბათ ასეთი შედეგის მისაღწევად ცოტა ჯადოქარიც უნდა იყო...**

— რას ბრძანებთ. უბრალოდ დიდი შრომა და ცოტა ყისმათია საჭირო. კიდევ, განწყობა რომ მქონდეს კარგი. მაშინ სწრაფად სირბილიც შესაძლებელია.

**— მადრიდში გარბენის დროს ასე გრძნობდით თავს?**

— მე კარგად ვიყავი მომზადებული და მაყურებელთა აყოლიებაც მოვახერხე. მათი და ჩემი გრძნობების დამთხვევა კი მშვენიერი იყო.

**— აპირებთ თქვენივე მსოფლიო რეკორდის მოხსნას?**

— შესაძლოა ეს უახლოეს ხანში არ მოხდეს, მაგრამ თავს ჩინებულად ვგრძნობ და შემიძლია ამის გაკეთება.

**— შეძლებთ 6,41 წამზე სწრაფად გაქცევას?**

— ეს დრო ჯონსონმა დოპინგის მეშვეობით უჩვენა, მე კი იგივეს უდოპინგოდ გავაკეთებ.

**— ასმეტრიან დისტანციაზე რა დროს უჩვენებთ?**

— ჩემთვის გადამწყვეტია ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატის მოგება. შესაძლოა იქ არ დაფიქსირდეს სარეკორდო წამები. ძალიან მაღალი იქნება გამარჯვების ფასი. მაგრამ ასმეტრიან დისტანციაზე მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება ჩემს გეგმებში შედის.

**— მეტისმეტად თვითდარწმუნებული ხომ არ ხართ?**

— არა, მე ვარ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული კაცი. ეს ოლიმპიური ციკლი ჩემი იქნება. მე დავამტკიცებ, რომ მსოფლიოში ყველაზე სწრაფად დავრბივარ.

კრივი

# მკვლელობა არ შედგა

ორი დანაპირებიდან ამერიკელმა მაიკ ტაისონმა მხოლოდ ერთი შეასრულა: აშკარა უპირატესობით დაამარცხა კანადელი დონოვან რუდოკი და პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაბრუნების შანსი მიიღო.

რაც შეეხება მეორე დანაპირებს... ორთაბრძოლის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ტაისონმა საჯაროდ განაცხადა, რომ მოკლავდა მეტოქეს, მაგრამ ამჯერად საქმე მსხვერპლამდე არ მისულა. ლას-ვეგასის ფეშენებელური სასტუმრო „მირაჟის" დარბაზში გამართულ ამ პაექრობას 16 ათასი მაყურებელი დაესწრო. ბრძოლას თვალს ადევნებდა აგრეთვე ას მილიონზე მეტი ტელემაყურებელი.

მსოფლიოს ექსჩემპიონმა, რომელიც მეტოქეს წონითაც და სიმაღლითაც ჩამორჩებოდა (ტაისონი — 98 კგ, 181 სმ; რუდოკი — 103 კგ, 192 სმ), თავისი მთავარი კოზირის — სისწრაფისა და ძლიერი დარტყმების (განსაკუთრებით მარცხენათი) წყალობით თავიდანვე იგდო უპირატესობა: მეორე და მესამე რაუნდში რუდოკი ზედიზედ ორჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში.

მეექვსე რაუნდში ინიციატივა კანადელის მხარეს იყო, მაგრამ შემდეგ ტაისონმა კვლავ მძაფრად შეუტია, უძლიერესი დარტყმებით წონასწორობიდან გამოიყვანა მეტოქე. მართალია, რუდოკი ძირს არ დაცემულა, მაგრამ გამოცდილმა მსაჯმა რიჩარდ სტილმა მაინც შეწყვიტა შეხვედრა და ამითი გამორიცხა „მოსალოდნელი მკვლელობის" შესაძლებლობა. ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა ტაისონმა.

— მე პატივს ვცემ მაიკს, ის მართლაც დიდი ოსტატია, თუმცა თავს დამარცხებულად არ ვთვლი, — თქვა ასეთი შედეგით გულდაწყვეტილმა დონოვან რუდოკმა.

— დარწმუნებული ვიყავი, რომ გავიმარჯვებდი და მივაღწიე კიდევაც საწადელს. მეტოქეს შანსი პრაქტიკულად არ ჰქონდა და ეს მსაჯმა დროზე შენიშნა, — განაცხადა ტაისონმა, რომელმაც ამ გამარჯვებისათვის 5,5 მილიონი დოლარი მიიღო (რუდოკი 3,5 მილიონ დოლარს დასჯერდა).

ახლა ტაისონი დაელოდება მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონის ევანდერ ჰოლიფილდისა და პრეტენდენტ ჯორჯ ფორმენის შეხვედრის შედეგს, რომელიც 19 აპრილს გაიმართება. ამ ბრძოლაში გამარჯვებულს გადამწყვეტი შეხვედრა სწორედ ტაისონთან მოუწევს.

# მაქსი-ექიმები და მინი-ფეხბურთელები

დამთავრდა რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების ეროვნული ასოციაციის პროფესორ-მასწავლებელთა სპარტაკიადა მინი-ფეხბურთში.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სამედიცინო ინსტიტუტისა და ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდები.

4:1 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა გუნდმა და მესამედ გახდა ჩემპიონი.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის გუნდი შვიდი წლის წინ ჩამოყალიბდა, ფიზიკური აღზრდის კათედრის უფროსი მასწავლებლის ვახტანგ ბაქანიძის ინიციატივით. დღეს იგი გუნდის მოთამაშე მწვრთნელია.

საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის" პრეზიდიუმის სხდომაზე დაამტკიცეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა საფეხბურთო კლუბი „მენედას" შექმნა.

დღემდე მედიკოსებს არ ჰყოლიათ დამოუკიდებელი საფეხბურთო კლუბი.

საფეხბურთო კლუბის „მენედის" პრეზიდენტი გახლავთ ბავშვთა სნეულებების №1 კათედრის ასისტენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გოგი ჩახუნაშვილი.

გაგაცნობთ გუნდის დანარჩენ წევრებს: თამაზ გელოვანი (ზოგადი ჰიგიენის კათედრის დოცენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი), თემურ მახარაძე (სუბორდინატორთა ჰოსპიტალური თერაპიის №1 კათედრის ასისტენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი), ირაკლი ქართველიშვილი (მეან-გინეკოლოგიის კათედრის ასისტენტი), პაატა ქევხიშვილი (მეან-გინეკოლოგიის კათედრის ასისტენტი),

მერაბ მალლაკერიძე (შინაგან სნეულებათა კათედრის ასისტენტი), ზაურ ფხალაძე, ვახტანგ ბაქანიძე (ფიზაღზრდისა და ჯანმრთელობის კათედრის უფროსი მასწავლებლები), სოლომონ ნოზაძე (შრომის ჰიგიენის კათედრის ასისტენტი), გიორგი ჰირაქაძე (შრომის ჰიგიენის კათედრის ასისტენტი), ავთანდილ მიქაბერიძე, პალიკო კასრაძე (სამკურნალო ფიზკულტურის კათედრის ასისტენტები).

გუნდის ერთ-ერთმა წამყვანმა მოთამაშემ, ქირურგმა პაატა ხაჭაპურიძემ ჩემპიონატში მონაწილეობა ვერ მიიღო სამაჩაბლოში ყოფნის გამო.

სპეციალურმა ჟიურიმ გათამაშების საუკეთესო მეკარედ დაასახელა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ლევან ჩხიკვაძე (ტექნიკური უნივერსიტეტი), საუკეთესო მოთამაშედ — თემურ მახარაძე, ხოლო ბომბარდირად — პაატა ქევხიშვილი (ორივე — სამედიცინო ინსტიტუტი).

კარგი იქნება თუ ვინმე ითავებს და ჩაატარებს მედიკოსთა შორის საქართველოს ჩემპიონატს „დიდ" ფეხბურთში. ამის მერე ჩამოყალიბდება საქართველოს ნაკრები გუნდი. რომელმაც შეიძლება იზრუნოს საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობაზე: 1992 წელს ესპანეთში ჩატარდება ევროპის ჩემპიონატი ექიმებს შორის, ხოლო 1994 წელს, ამერიკაში, მსოფლიო ჩემპიონატი.

## გულშემატკივრის ცნობარი

(გაგრძელება)

სხვათა შორის, კალათბურთის ნათლია გახლავთ იმავე სპრინგფილდის კოლეჯის პედაგოგი, ნეისმიტის კოლეგა და მეგობარი ფრენკ მეგანი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ნახა ეს თამაში და ამის შემდეგ დაუკავშირა ერთმანეთს კალათის („ბასკეტ") და ბურთის („ბოლ") მნიშვნელობა. ერთი სიტყვით, კალათბურთი კონკრეტული ადამიანის ფანტაზიის ნაყოფია და ეს ადამიანი თავის დროზე მშვენიერი სპორტსმენი გახლდათ (მორაგბე და ტანმოვარჯიშე).

მაგრამ კალათბურთი არ შეიძლე-



ჯეიმს ნეისმიტი

ბოდა წარმოშობილიყო შემთხვევით, ასე ვთქვათ, არაფრისგან. კალათბურთის მსგავს თამაშს თურმე იცნობდნენ ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ცივილიზაციები ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე ასწლეულში და მას „პოკ-ტა-პოკს" უწოდებდნენ. მეთექვსმეტე საუკუნეში აცტეკებს მექსიკის სხვადასხვა რაიონში მოწყობილი ჰქონდათ კაუჩუკის ბურთით სათამაშო მოედნები — „ოლამალიტცლი". თამაშის (მასაც იგივე სახელი ერქვა) მიზანი იყო ბურთის ზუსტად ტყორცნა ქვის კალათში. ანალოგიური გართობა-სანახაობა აღწერილია 1818 წელს გამოცემულ ენციკლოპედიაში. ეს თამაში განსაკუთრებით პოპულარული ყოფილა ფლორიდის ტერიტორიაზე მცხოვრებ ინდიელთა ტომებში.

და მაინც, დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ კალათბურთი არ წარმოქმნილა ადრე ცნობილი რომელიმე თამაშის ევოლუციის შედეგად. ნეისმიტმა, და ეს მისი უდავო დამსახურებაა, სრულიად ახალი სპორტი გამოიგონა. ამიტომაცაა მისი ბიოგრაფიის ცალკეული დეტალები საყოველთაოდ ცნობილი. კალათბურთის მთელი ისტორია (მისი ჩასახვიდან დღემდე) თითქოს ხელისგულზეა და ჩვენც შეძლებისდაგვარად გამოვყოფთ ამ ისტორიის უმთავრეს მომენტებს:

1891 წლის 21 დეკემბერი. სპრინგფილდის კოლეჯის ტანვარჯიშულ დარბაზში გაიმართა კალათბურთის მოყვარულთა პირველი მატჩი. ამიტომ ითვლება 21 დეკემბერი კალათბურთის დაბადების თარიღად, თორემ ნეისმიტს მისი პრინციპები, ცხადია, ადრე ექნებოდა ჩამოყალიბებული. ერთ დღეში, ექსპრომტად იგი კალათბურთამდე ვერ მივიდოდა.

1892 წელი. ხმარებაში შემოდის საკალათბურთო აღჭურვილობის ერთ-



ჩვენს წელთაღრიცხვამდე X საუკუნეში ინკების ტომებში გავრცელებული თამაში პოკ-ტა-პოკი.

ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალი — ფარი. ამ სიახლემ მკვეთრად გაზარდა ბურთის კალათში მოხვედრის ალბათობა. ეს, ფაქტობრივად, ორივე გუნდში თითო მოთამაშის (პარტნიორის) დამატებას უდრიდა. რიკოშეტით პასის დაბრუნება საკალათბურთო ტექნიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი გახდა, რომელსაც წარმატებით იყენებდნენ განსაკუთრებით კარგად მომზადებული კალათბურთელები.

1893 წელი. ხის დაწნული კალათი რკინის სალტემ და მასზე დამაგრებულმა ბადემ შეცვალა. ამ დროიდან მოყოლებული, ხილის კალათი (ნეისმიტმა თავდაპირველად სწორედ ეს კალათები დაამაგრა კედლებზე) კარგავს თავის პირვანდელ მნიშვნელობას, თუმცა „კალათში ბურთის ჩაგდებას", როგორც თამაშის მთავარ მიზანს, დღესაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხმარობთ (დიახ, სწორედ კალათში ჩაგდებას).

1894 წელი. ფეხბურთის ჩვეულებრივი ბურთი კალათბურთის თამაშისათვის განკუთვნილმა სპეციალურმა ბურთმა შეცვალა. იგი ზომითაც უფრო დიდი იყო და მეტსაც იწონიდა(ასეა ახლაც).

1891 წელს ნეისმიტის სასწავლო ჯგუფში 18 მოსწავლე იყო გაერთიანებული. ამიტომ პირველი მატჩის მონაწილე გუნდებში 9-9 მოსწავლე შევიდა. 1892 წელს გამოქვეყნებულ „წესების წიგნში" ნეისმიტმა გუნდში მოთამაშეთა რაოდენობა სამიდან რამდენიმე ათეული კალათბურთელით განსაზღვრა. სამი წლის შემდეგ ამ წესებში არსებითი ცვლილება შეიტანეს (5-9 მოთამაშე) და მხოლოდ ამის შემდეგ დადგინდა საბოლოოდ კალათბურთელთა რაოდენობა — გუნდში ხუთი კაცი.

აქ, ფაქტობრივად, სრულდება კალათბურთის ისტორიის ერთი ნაწილი და იწყება, ასე ვთქვათ, ორგანიზაციული სრულყოფისა და ცვლილებების პერიოდი.

1904 წელი. სენტ-ლუისის (აშშ) III ოლიმპიური თამაშები. კალათბურთის



XIX საუკუნის მიწურული. კალათბურთი ქალთა სკოლაში.

ოლიმპიური გამოცდა — იგი ჩართულია თამაშების პროგრამაში, როგორც საჩვენებელი დისციპლინა.

1932 წელი. შეიქმნა სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიბა) — იმდროინდელი მასშტაბით (და დღევანდელითაც) ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია.

1935 წელი. ევროპის ვაჟთა პირველი ჩემპიონატის ჩატარების თარიღი. სამი წლის შემდეგ საფუძველი ეყრება ქალთა ანალოგიურ ტურნირს.

1936 წელი. ბერლინის XI ოლიმპიადიდან მოყოლებული კალათბურთი მტკიცედ იკიდებს ფეხს ყველა მომდევნო თამაშების პროგრამაში. ამ წელიწადს ოლიმპიურ ტურნირში გამარჯვებულ ამერიკელ კალათბურთელებთან ერთად ჩემპიონის ოქროს მედალს გადასცემენ 74 წლის ჯეიმს ნეისმიტსაც.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რუბრიკას უძღვება ნოდარ გუგუშვილი



# ხუთი ერის პირველობა

მეხუთე ტური



## ინგლისის მეცხრე „დიდი სლემი“

ლონდონი. თვიქნემის სტადიონი. 16 მარტი.

ინგლისი 21 (18) (1ლ, 1გ, 4ხ, 1ა)

საფრანგეთი 19 (9) (3ლ, 2გ, 1ხ)

ინგლისი: ჰოჯქინსონი; ჰეზლოფი, ქარლინგი, გასქოთი, ანდერვუდი; ენდრიუ, ჰილი; ლენარდი, მური, ფრობინი; თიიგი, დული, ექფორდი, ვინთერბოთომი; რიჩარდსი.

საფრანგეთი: ბლანკო; ლაფონი, სელა, მენელი, სენტანდრე; კამბერაბერო, ბერბიზიე; ლასკიუბე, მაროკო, ონდარი; ბლონი, ტაშჯიანი (სესიიონი), რუმა, კაბანი; ბენაზი.

მსაჯი ლეს ფიარდი (უელსი)

ინგლისის ამჟამინდელი მწვრთნელების — ჯეფ ქუქისა და როჯერ ათლის, აგრეთვე გუნდის კაპიტნის — ვილ ქარლინგის საერთაშორისო დებიუტი სამი წლის წინ შედგა, განახლების გზაზე დამდგარმა გუნდმა პარიზში ბოლო წუთებზე რომ წააგო მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ საფრანგეთთან — 9:10. მას შემდეგ ინგლისი საგრძნობლად გაძლიერდა და საფრანგეთს ორჯერ მოუგო — 11:0 (თვიქნემში, 1989 წელს) და 26:7 (პარიზში, შარშან). თანდათან იმატა გუნდის მიერ ხუთი ერის პირველობებში მოგროვილი ქულების რიცხვმაც: თუ 1987 წლის კამპანია ინგლისმა 2 ქულით დაამთავრა და მსოფლიო თასიდანაც მეოთხედფინალში გამოვარდა, 1988 წელს გუნდმა 4 ქულა მოიხვეჭა, 1989 წელს — 5, 1990-ში — 6, წელს კი ოთხივე მეტოქეს სძლია, 8 ქულა დააგროვა და მეცხრედ დაეუფლა „დიდ სლემს“, რომელიც ოდენ სიმბოლური ჯილდოა და ქართულ სპორტულ ჟურნალისტიკაში უმართებულოდ დამკვიდრებული აზრის მიუხედავად, არც ჩაფხუტადა და არც მუზარადად არ არსებობს. მეტიც, ტერმინი ქაღალდის თამაშ ბრიჯიდან მომდინარეობს და საჭურველთან საერთო არაფერი აქვს!

წელს მეოთხედ მოხდა, „დიდი სლემის“ ორი პრეტენდენტი ბოლო ტურში რომ დაეჯახა ერთმანეთს. ამ შეხვედრებში წლევანდლამდე ერთთავად მასპინძლები იმარჯვებდნენ: 1978 წელს უელსმა საფრანგეთი დაამარცხა, 1984 წელს შოტლანდიამ — საფრანგეთი, შარშან კი შოტლანდიამ ინგლისს მოუგო. და აი, წლეულს ისტორია ისევ განმეორდა: მასპინძელმა კვლავ მშრალზე დატოვა სტუმარი.

თამაშის წინ გაწვიმდა. შესვენებამდე ინგლისელებს პირქარში მოუხდათ თამაში, მაგრამ ამან მასპინძელთა მორკინალებს ხელი ვერ შეუშალა, ჩვეული უპირატესობისათვის რომ მიეღწიათ. ანგარიში პირველსავე წუთზე გაიხსნა: ფრანგების ვეტერანი ბერბიზიე ამჩატდა, 22-მეტრიანი დარტყმა უეცრად და უხეიროდ შეასრულა, ბურთი კი ვინთერბოთომმა იგდო ხელთ და ფრანგებმაც წესი დაარღვიეს; ჰოჯქინსონმა საჯარიმო ზუსტად დაარტყა — 3:0.

ინგლისმა მეტად იძალა და საფრანგეთი მის ლელოს მიაჯაჭვა. სტუმრების უკანა ხაზმა ერთ-ერთ შერკინებაში თამაშგარეს წესი ვერ დაიცვა. დაინიშნა საჯარიმო, მაგრამ ჰოჯქინსონს დარტყმა გაუცუდდა. ბურთი თავისს ლელოში აიღო სერჟ ბლანკომ, რომელიც ამ დღეს 85-ედ თამაშობდა ნაკრებში (ეს მსოფლიო რეკორდია!), და შეუტია. იერიში სელამ და კამბერაბერომ გააგრძელეს, ბურთი სველ მოედანზე გააგორეს და სენტანდრეს ლელო კარსუკან გაატანინეს. ლელო კამბერაბერომ გარდასახა — 3:6.

ინგლისს წარბიც არ შეუხრია. ენდრიუმ არეკნი გაიტანა, მერე ჰოჯქინსონმა და კამბერაბერომ თითო საჯარიმო შეაგდეს, მაგრამ შესვენებამდე ინგლისის მორკინალთა ფრიადმა ძალამ და ოსტატობამ თავისი გაიტანა: თიიგის გარღვევის შემდეგ ქარლინგმა და ჰოჯქინსონმა ანდერვუდს ლელო გაატანინეს. ჰოჯქინსონმა ლელოც გარდასახა და საჯარიმოც შეაგდო — 18:9.

წარმატებამ ინგლისი მოადუნა. თავი იჩინა მისმა ძველმა სენმა — ულელოო თამაშმა, რომლის დროსაც გუნდს ბურთი კი აქვს, მაგრამ ლელო ვერ გააქვს. საფრანგეთი ასე თუ ისე გაუმკლავდა ინგლისის მორკინალთა მოწოლას და როცა დრო იხელთა, დაამტკიცა, რომ მის ბებერ უკანა ხაზს საზრიანობითა და მობურთალობით ევროპაში ტოლი ძნელად თუ დაებძებნება. სელას იერიში კამბერაბეროს მიერ გატანილი ლელოთი დამთავრდა, მაგრამ ჰოჯქინსონმა, როგორც საბოლოოდ გამოირკვა, მალე გადამწყვეტი საჯარიმო შეაგდო და ინგლისის მოგება თითქოს უეჭველი გახადა.

დაცვით გათანგულმა ფრანგებმა თამაშის ბოლოს კიდევ გაიბრძოლეს: სელასა და ბლანკოს წამოწყებული კონტრიერიში კვლავ ლელოთი დაგვირგვინდა. ეს მენელმა გააკეთა. კამბერაბერომ გარდასახვა შეაგდო, მაგრამ თამაშის ცენტრიდან განახლებისთანავე გაფრანგებული მაროკოელი აბდულ-ლატიფ ბენაზი მოლში დაჯარიმდა. აქ საოცარი რამ მოხდა: ჰოჯქინსონმა კარის პირდაპირ დანიშნული საჯარიმო გააფუჭა, ფრანგებმა ისევ კონტრშეტევა წამოიწყეს, მაგრამ ინგლისელთა ბედად მათს ათმეტრიან ხაზთან შეფერხდნენ. გაიმართა მოლი, მსაჯმა შერკინება დანიშნა და თამაშის დამთავრების ნიშნად დასტვინა, რასაც სტადიონზე მყოფი 55 ათასი მაყურებლის გამაყრუებელი ყიჟინა და 5 ათასი კაცის მოედანზე გაჭრა მოჰყვა.

ინგლისმა პირველად 1980 წლის შემდეგ ასე მოიპოვა ხუთი ერის ჩემპიონობა და „დიდი სლემი“, ჰოჯქინსონმა კი ოთხ თამაშში 60 ქულის მოგროვებით 6 ქულით გააუმჯობესა 1984 წელს ფრანგ ჟან-პატრიკ ლესკარბურას მიერ დამყარებული შედეგიანობის რეკორდი. ინგლისის დამრტყმელმა წელს 18 საჯარიმო და 3 გარდასახვა გაიტანა.

## გულგრილი არავინ დატოვეს

ედინბურგი. მარიფილდის სტადიონი. 16 მარტი.

შოტლანდია 28 (15) — ირლანდია 25 (15).

შოტლანდია: 3 ლელო (გ. ჰესთინგსი(15), სთეინჯერი (14), ს. ჰესთინგსი (13)), 2 გარდასახვა (ჩალმერსი (10)), 4 საჯარიმო (ჩალმერსი — 3, გ. ჰესთინგსი).

ირლანდია: 4 ლელო (ქროსანი(11), რობინსონი (8), გეგანი (14), მალინი (13)), 3 გარდასახვა და 1 არეკნი — ბ. სმისი (10).

თამაში გენერალური რეპეტიცია იყო მსოფლიო თასის მეორე ქვეჯგუფის შეხვედრისა, ამავე სტადიონზე 12 ოქტომბერს რომ უნდა გაიმართოს. გუნდებმაც ისე ითამაშეს, რომ იმ შეხვედრისათვის გულგრილი ალბათ ვერავინ დარჩება.

თავიდან შოტლანდია დაწინაურდა — 6:0, მერე ირლანდია — 9:6; ამის შემდეგ ანგარიში ორჯერ იყო თანაბარი — 9:9 და 15:15. თამაშის განახლებისას ირლანდია მესამედაც გავიდა წინ — 19:15, მაგრამ ამას შოტლანდიამ 13 ქულიანი შემოტევა მოაყოლა — 28:19. ბოლოს ირლანდიამ ანგარიში კი შეამცირა, მაგრამ ბოლო წუთზე სმისმა არეკნი კარს ააცდინა; მისი გუნდი დამარცხდა და უელსთან ერთად ბოლოსწინა ადგილი გაიყო.

### საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ა. | ლ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 4 | 4 | 0 | 0 | 83:44 | 5:4 | 8 |
| 2. საფრანგეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 91:46 | 11:2 | 6 |
| 3. შოტლანდია | 4 | 2 | 0 | 2 | 81:73 | 7:6 | 4 |
| 4. ირლანდია | 4 | 0 | 1 | 3 | 66:86 | 10:9 | 1 |
| უელსი | 4 | 0 | 1 | 3 | 42:114 | 3:15 | 1 |

სურათზე: ხუთი ერის ჩემპიონი ინგლისის ნაკრები

გვერდი მოამზადა ზაალ გიგინეიშვილმა

# ჯერაც გაუსრულებელი ქრონიკა

იწყება მორაგბეთა საკავშირო ჩემპიონატი. იწყება ორი ქართული გუნდის დაუსრულებელი წანწალი ქალაქქალაქ, მთელს საბჭოეთში, სლავ მორაგბეებთან თამაში და მუშტი-კრივი, მსაჯებთან დავა, მათზე საცემრად გაწევა თუ მათივე მოსყიდვა, მაყურებლის მოედანზე შესევა, ამა თუ იმ ლიდერის „ჩასაძირად“ გუნდების კოალიციების შექმნა, გარიგება, ძველი ვალების გასტუმრება და ახლის აღება, მოედნის დემონსტრაციულად მიტოვება და საქართველოს ჩემპიონატის მატჩების არხეინად გაცდენა. და კიდევ, ორად — ქუთაისელებად და თბილისელებად — გაყოფილი მორაგბეთა საძმოს მიერ ერთურთის გაუტანლობა, დღენიადაგ ერთურთის ყვედრება და იმის ცდა, რომ სხვის ჩემპიონატში, რადაც უნდა დაუჯდეთ, თვისტომზე უკეთესი ადგილი დაიჭირონ.

ასეა თუ ისე, ქუთაისის „აიასა“ და თბილისის „ვესტას“ („ელმავალყოფილის“) სსრკ ჩემპიონატში მონაწილეობა ფაქტიცაა და ქართული რაგბის ისტორიის ერთი სევდიანი მონაკვეთიც. აგერ უკვე მეოთხედი საუკუნე რომ გრძელდება. ბუნებრივია, ჩვენ მიზნად არა გვაქვს და არც უნდა გვქონდეს სსრკ ჩემპიონატების ისტორიის დაწერა — ამას სლავური რაგბის მემატიანეები მიხედავენ, მაგრამ რაკილა ქართული რაგბის საუკეთესო შვილებს საუკეთესო წლები სწორედ ამ სარბიელზე გაუხარჯავთ და დიდებაც აქ მოუპოვებიათ, ამიტომ მაინც უპრიანი გვგონია მორიგი — იმედია, ბოლო — საკავშირო ჩემპიონატის წინ მცირედი სტატისტიკის მოყვანა.

მაშ ასე, ვისაც გეხალისებათ და საამისო ჯანიც მოგდგამთ, შეგიძლიათ გაეცნოთ დიდ ცხრილს, რომელშიც 1966 წლიდან მოყოლებული ყველა ჩემპიონატის შედეგებია დაჯამებული და რომელშიც „აია“ სულ ზე-ზე მიიწევს, ხოლო „ელმავალს“ წელს კრასნოიარსკისა და ალმა-ათის ერთ დროს მაჩანჩალა გუნდებმაც კი გაუსწრეს.

ამ ცხრილში ნაჩვენებია თითოეული გუნდის სარაგბო ელიტაში ყოფნის წლები; ჩემპიონატებში მონაწილეობის რაოდენობა; მოპოვებული ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები; თამაშთა, მოგებათა, ფრეთა და წაგებათა რაოდენობა; იმ მატჩების რიცხვი, რომლებშიც გუნდი დასაჩეს, ე.ი. წაგება ჩაუთვალეს; ჩამოკლებულ ქულათა რაოდენობა; და ბოლოს — ცხრილში გუნდების დალაგების კრიტერიუმი — მოპოვებულ ქულათა წილი, რომელიც პროცენტებითაა გამოსახული.

ცხრილში გუნდები იმ სახელებით მოიხსენიებიან, მკითხველს უმალ რომ მიახვედრებს, ვისზეა ლაპარაკი. ვარსკვლავდასმული გუნდები დღეს აღარ არსებობენ ან სსრკ ჩემპიონატებში აღარ მონაწილეობენ. (ეხლა იხილეთ დიდი ცხრილი.)

ამ ცხრილის ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მვტუ-ის, დღევანდელი მოსკოვის ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდის შედეგს ალბათ ვეღარავინ გაიმეორებს. კიდევ ის, რომ მონინოს სსა მართლაც „დიდი გუნდია“, და ბოლოს ის, რომ „ელმავალი“ ან ყველაზე უწესო, ანაც ყველაზე მეტად რეპრესირებული გუნდი ყოფილა.

ახლა გაეცანით მეორე ცხრილს, ჩვენი გუნდების ძალას რომ წარმოაჩენს სხვებთან შედარებით. მასში სხვადასხვა მეტოქესთან უმაღლეს ლიგაში გამართული შეხვედრების ბალანსია მოცემული. „გ-ჩ“ მაჩვენებელი მიუთითებს, ჩემპიონატის საბოლოო ცხრილში (თუნდაც — ქვედა ლიგაში) გუნდმა მეტოქეს რამდენჯერ „გაასწრო“ და რამდენჯერ „ჩამორჩა“.

### დიდი ცხრილი

| | წლები | მონ. | ო. | ვ. | ბ. | თ. | მ. | ფ. | წ. | დ. | -ქ. | ქ(%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მვტუ(მოსკოვი)* | 1966-68 | 2 | 2 | - | - | 8 | 8 | 0 | 0 | - | - | 100.00 |
| 2.სსა(მონინო) | 1969-90 | 22 | 9 | 5 | 4 | 468 | 340 | 39 | 88 | 1 | 4 | 76.39 |
| 3.„სლავა“(მ) | 1975-90 | 16 | 2 | 4 | 2 | 415 | 263 | 35 | 117 | - | 2 | 67.35 |
| 4.„აია“(ქუთ) | 1979-90 | 12 | 3 | 1 | 1 | 321 | 178 | 20 | 123 | - | - | 58.57 |
| 5.„ავიატორი“(კ) | 1966-90 | 20 | 1 | 3 | 5 | 462 | 249 | 39 | 171 | 3 | 1 | 58.01 |
| 6.„ფილი“(მ) | 1969-90 | 22 | 5 | 4 | 2 | 456 | 238 | 36 | 182 | - | 1 | 56.03 |
| 7.„ლოკომ.“(მ) | 1974-90 | 17 | 1 | 1 | 1 | 417 | 202 | 27 | 187 | 1 | 1 | 51.80 |
| 8.ალმა-ათა | 1981-90 | 9 | - | - | 1 | 210 | 89 | 16 | 105 | - | 1 | 45.95 |
| 9.„კრასნი იარი“ | 1977-90 | 13 | 1 | 1 | 1 | 307 | 133 | 15 | 159 | - | - | 45.77 |
| 10.„ელმავალი“(თბ) | 1966-90 | 24 | - | - | 4 | 382 | 157 | 39 | 178 | 3 | 5 | 45.55 |
| 11.„დინამო“(მ)* | 1966-70 | 4 | - | 1 | 1 | 22 | 8 | 4 | 10 | - | - | 45.45 |
| 12.მაი(მოსკოვი)* | 1969-75 | 6 | - | 2 | 1 | 67 | 23 | 8 | 36 | - | - | 40.30 |
| 13.„დინამო“(თბ)* | 1969-79 | 9 | - | 1 | - | 112 | 38 | 9 | 65 | - | - | 37.85 |
| 14.ლენინგრადი | 1966-88 | 18 | - | 1 | 1 | 286 | 77 | 18 | 191 | - | - | 30.07 |
| 15.კპი(კიევი) | 1976-90 | 7 | - | - | - | 105 | 28 | 2 | 75 | - | - | 27.62 |
| 16.ტირასპოლი* | 1986-89 | 4 | - | - | - | 77 | 18 | 6 | 53 | - | - | 27.27 |
| 17.„დინამო“(კ)* | 1969-72 | 4 | - | - | - | 35 | 6 | 7 | 22 | - | - | 27.14 |
| 18.ტაშკენტი | 1988-90 | 3 | - | - | - | 72 | 19 | 1 | 52 | - | - | 27.08 |
| 19.„სპარტაკი“(მ)* | 1969-89 | 12 | - | - | - | 152 | 33 | 16 | 103 | - | - | 26.97 |
| 20.ნალჩიკი* | 1976-77 | 2 | - | - | - | 36 | 8 | 0 | 28 | - | - | 22.22 |
| 21.ხარკოვი | 1990 | 1 | - | - | - | 28 | 6 | 0 | 22 | - | - | 21.43 |
| 22.ლვოვი | 1981-90 | 7 | - | - | - | 94 | 19 | 1 | 73 | 1 | 1 | 20.21 |
| 23.ნოვოკუზნეცკი | 1990 | 1 | - | - | - | 28 | 4 | 1 | 23 | - | - | 16.07 |
| 24.ლიეტვა* | 1969-84 | 3 | - | - | - | 29 | 3 | 0 | 25 | 1 | 1 | 8.62 |
| 25.„შევარდენი“(თბ)* | 1981-87 | 2 | - | - | - | 33 | 2 | 0 | 31 | - | - | 6.06 |
| 26.სტმ(კრასნ) | 1990 | 1 | - | - | - | 28 | 1 | 0 | 27 | - | - | 3.57 |
| 27.„ელმავალი-2“* | 1987 | 1 | - | - | - | 8 | 0 | 0 | 8 | - | - | 0.00 |

| ქუთაისი თ. | მ. | ფ. | წ. | გ.-ჩ. | მეტოქე | თბილისი თ. | მ. | ფ. | წ. | გ.-ჩ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 33 | 19 | 0 | 14 | 9-4 | „კრასნი იარი“ | 25 | 11 | 1 | 13 | 6-8 |
| 40 | 12 | 6 | 22 | 3-10 | სსა | 41 | 8 | 4 | 29 | 2-21 |
| 34 | 13 | 2 | 19 | 5-7 | „ავიატორი“ | 42 | 14 | 5 | 23 | 5-15 |
| 23 | 10 | 4 | 9 | 10-1 | ალმა-ათა | 11 | 5 | 0 | 6 | 3-6 |
| 34 | 14 | 2 | 18 | 5-7 | „სლავა“ | 35 | 13 | 2 | 20 | 2-14 |
| 36 | 22 | 2 | 12 | 7-5 | „ლოკომოტივი“ | 36 | 15 | 5 | 16 | 5-12 |
| 34 | 19 | 0 | 15 | 6-6 | „ფილი“ | 44 | 17 | 5 | 22 | 5-17 |
| 6 | 6 | 0 | 0 | 3-0 | ტაშკენტი | 6 | 5 | 0 | 1 | 3-0 |
| 6 | 5 | 0 | 1 | 5-1 | კპი (კ) | 11 | 8 | 0 | 3 | 8-1 |
| 8 | 7 | 1 | 0 | 9-0 | ლვოვი | 8 | 6 | 0 | 2 | 5-2 |
| 2 | 1 | 0 | 1 | 1-0 | ხარკოვი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 |
| 2 | 2 | 0 | 0 | 1-0 | ნოვოკუზნეცკი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 |
| 20 | 17 | 0 | 3 | 9-1 | ლენინგრადი | 28 | 15 | 1 | 12 | 9-9 |
| 0 | - | - | - | - | ტაგანროგი | 0 | - | - | - | 1-0 |
| 23 | 12 | 5 | 6 | 9-3 | თბ./ქუთ. | 23 | 6 | 5 | 12 | 3-9 |

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. ნურც იმას დაივიწყებთ, რომ ნამდვილი რაგბი და ჭეშმარიტი ჩემპიონატიც — ეროვნული — სულ მალე, 13 აპრილს დაიწყება.

# ალექსანდრე მეტრეველი: „ნუღარ გააგრძელებთ, პირდაპირ გიპასუხებთ“

**სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარის წინასწარ არჩევნებში სხვებთან ერთად კენჭს იყრიდა ალექსანდრე მეტრეველი. ხმების უმრავლესობით, თავმჯდომარედ აირჩიეს შამილ ტარპიშჩევი. მეტრეველი, ასე ვთქვათ, მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა.**

**სააგენტოს ეს ცნობა, ერთი მნიშვნელოვანი გარემოება რომ არა, ალბათ, უხმაუროდ ჩაივლიდა. „მნიშვნელოვანი გარემოების“ თაობაზე, ცხადია, მკითხველს კარგად მოეხსენება: ქართული სპორტი დამოუკიდებლობას ესწრაფვის; ამ დროს ქართული სპორტის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს საკავშირო ფედერაციის თავკაცობა განუზრახავს. სოციოლოგიური გამოკითხვა არ მოგვიწყვია, მაგრამ მეტრეველის ეს ნაბიჯი, ვფიქრობთ, ბევრისთვის მოულოდნელი იყო. ამბობენ, უმიზეზოდ არაფერი არ ხდებაო.**

**რას ფიქრობს ამის თაობაზე თვითონ ბატონი ალექსანდრე? ამ და სხვა კითხვებზე პასუხის მისაღებად მას შინ ვესტუმრეთ — თბილისში, ბარნოვის 168-ში. მოსკოვიდან ახალი ჩამოსული იყო, საუბარი თითქმის ორ საათს გაგრძელდა და, მართალია, გაზეთის ერთმა გვერდმა ყველაფერი ვერ დაიტია, მაინც შევეცადეთ ძირითადი, არსებითი, თქვენამდე მოგვეტანა.**



გია ახალაძის ფოტო

**— სხვა დროს და სხვა შემთხვევაში თქვენი ამ ნაბიჯისთვის ალბათ არავინ დაგძრახავდათ, მაგრამ დღეს...**

— ნუღარ გააგრძელებთ. გავიგე, რაც უნდა მკითხოთ, პირდაპირ გიპასუხებთ: ჯერ ერთი, მოსკოვში გამართული არჩევნების თაობაზე პრესაში არასრული და ცალმხრივი ინფორმაცია დაიბეჭდა; მეორეც, ჩემი აზრით, არ ღირს ამ ფაქტის მნიშვნელობის გაზვიადება და რაღაც დასკვნების გამოტანა. საქმე ასე იყო: ამ ცოტა ხნის წინ საკავშირო სპორტკომიტეტში სამუშაოდ დაბრუნდა ვლადიმერ გოლენკო, რომელთანაც წლების მანძილზე ახლო ურთიერთობა მაკავშირებს. თავის დროზე, როცა ის კომიტეტში ჩოგბურთს განაგებდა, მეც და სხვა ქართველ ჩოგბურთელებსაც ბევრჯერ დაგვდგომია გვერდში. სწორედ გოლენკომ დამირეკა და მთხოვა: შენი დახმარება მჭირდებაო. უარი ვერ ვუთხარი. მოსკოვში რომ ჩავედი, უშუალოდ ჩოგბურთის საკავშირო ფედერაციის სხდომის მსვლელობისას დელეგატთა ერთმა ჯგუფმა თავმჯდომარის პოსტზე ჩემი კანდიდატურა წამოაყენა... ეს იყო ფარსი და არა არჩევნები. 103 დელეგატს შორის 80 მანდატი მოსკოველებს ჰქონდათ. არ ჩამოვიდნენ ბალტიისპირა რესპუბლიკებისა და სომხეთის წარმომადგენლები, კონფერენციაზე არ იყო საქართველოს დელეგაციაც. მე ვთქვი, ასეთ სიტუაციაში არჩევნების მოწყობას აზრი არა აქვს, დავიცადოთ, ჯერ პოლიტიკური ვითარება გავარკვიოთ და საბოლოო გადაწყვეტილება მერე მივიღოთ-მეთქი. რაკი დელეგატთა უმრავლესობამ მხარი არ დამიჭირა, დარბაზი დავტოვე, მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, საარჩევნო სიაში მაინც შევუყვანივართ.

**— საკავშირო სპორტკომიტეტთან თქვენი ურთიერთობა ამით დამთავრდა თუ სხვა წინადადება ხომ არ ყოფილა?**

— იყო. საკავშირო ნაკრების კაპიტნის პოსტი შემომთავაზეს. კაპიტანი, მოგეხსენებათ, ნაკრების მთავარი მწვრთნელის ფუნქციას ასრულებს, მეტად საპასუხისმგებლო საქმეა. საბოლოო შეთანხმება მიღწეული არ არის. პასუხს ველოდები.

**— თანხმობა მიეცით?**

— უარი არ მითქვამს. თუ ამ თანამდებობაზე დავინიშნე, ვფიქრობ, ქართული ჩოგბურთისთვის რეალური დახმარების საშუალებაც მომეცემა, საქმისათვის ასე აჯობებს. ჯერჯერობით მოსკოვთან კავშირის გაწყვეტა ნაადრევი მგონია. ამის დროც მოვა, მანამდე კი ვაკეთოთ ჩვენი საკეთებელი, მივხედოთ ჩოგბურთელთა ახალ თაობას, მყარად დავდგეთ ფეხზე. როცა ძლიერი იქნები, შენს პრეტენზიებს მხოლოდ მაშინ გაუწევენ ანგარიშს. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია, ისევე როგორც დანარჩენი ფედერაციები, კონსერვატიული დაწესებულებაა და, სანამ პოლიტიკის სფეროში საქმე არ მოწესრიგდება, ძნელად თუ შეიცვლის პოზიციას.

**— იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ ცალკეული რესპუბლიკური ფედერაციების საერთაშორისოში გაწევრიანებისთვის ბრძოლა უპერსპექტივო საქმეა?**

— მე უახლოეს პერსპექტივას ვერ ვხედავ, მაგრამ საქართველოში ჩოგბურთის დამოუკიდებელი ფედერაციის შექმნის წინააღმდეგი როდი ვარ. სტრუქტურული ცვლილებები აუცილებელია, თუმცა, ვიმეორებ, მოსკოვთან, სხვა რესპუბლიკებთან კონტაქტების ერთბაშად გაწყვეტა ხეირს არ მოგვიტანს. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული... საქართველოში ჩოგბურთის ფედერაცია შეიძლება ითქვას, არც არსებობს. ეს არის უმწეო საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს ქართული ჩოგბურთის განვითარებაზე. ჩოგბურთის საქმეებს პროფესიონალები უნდა განაგებდნენ და არა ჩინოვნიკები.

**— ალბათ სასურველი იქნებოდა, ქართული ჩოგბურთის ხელმძღვანელთა რიგებში ალექსანდრე მეტრეველიც გვეხილა. თქვენ რას იტყვით?**

— საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს, მაგრამ, გულახდილად გითხრათ, სპორტკომიტეტში მუშაობის პერიოდში იმდენი უსიამოვნება შემხვდა, იმდენ ხელოვნურ დაბრკოლებას გადავეყარე, ყველაფრის ხელახლა დაწყება ალბათ გამიჭირდება. ყოველ შემთხვევაში, დღეს ასე ვფიქრობ.

**— თქვენზე აქა-იქ ამბობენ, კონფლიქტური კაციაო. მართალია?**

— გააჩნია, ვინ ამბობს და რა მოტივით. თუ კაცს ჩოგანი ხელში არასოდეს ჰჭერია და თავს უფლებას აძლევს ჩოგბურთი მასწავლოს, მასთან საერთო ენას ვერ გამოვნახავ. სხვათა შორის, იყო მსგავსი შემთხვევები და, რაკი ასეთ დროს „სუბორდინაციის პრინციპს“ არ ვიცავდი, საყვედურიც არაერთხელ მიმიღია. ჩვენი უბედურება ის იყო, რომ სპორტში, მეტწილად პარტიულ ფუნქციონერებს ნიშნავდნენ ხელმძღვანელებად, რომელთაც, როგორც გულშემატკივრებს, სპორტი კი უყვარდათ, მაგრამ სპორტის სამყაროს არ იცნობდნენ. არადა, პარტიული მუშაობის გამოცდილება თითქმის სავალდებულოდ ითვლებოდა. ვიდრე საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ დამნიშნავდნენ, მეც მომიხდა მუშაობა ცეკას აპარატში.

**— ვინ გიშუამდგომლათ?**

— რესპუბლიკის ბევრ ხელმძღვანელს პირადად ვიცნობდი და ჩემს სამსახურებრივ კარიერას, ცხადია, კარგი პირი უჩანდა. 1981 წლის მიწურულს „ზემოთ“ დამიბარეს და მითხრეს: სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ გიშვებთ, ასეა საჭირო, აბა შენ იცი... ხუთ წელიწადს ვიმუშავე, სამი თავმჯდომარე გამოვიცვალე. გულით მინდოდა, რომ საქმე გამეკეთებინა, თანამოაზრენიც გამომიჩნდნენ, მაგრამ ხელის შემშლელნი მაინც ჭარბობდნენ. 1983 წელს მოსკოვიდან ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესის დელეგატად მიმავლინეს, იქ კი სახელმძღვანელო კომიტეტის წევრად ამირჩიეს. ასეთი



გია ახალაძის ფოტო

ავტორიტეტული კომიტეტის წევრობა პრესტიჟის საქმეა, თანაც საშუალება გეძლევა ახალი კონტაქტი დაამყარო საერთაშორისო ჩოგბურთის ხელმძღვანელებთან. წელიწადში სამ სხდომაზე დასწრება აუცილებელი იყო, მაგრამ თბილისში მალე ალმაცერად დამიწყეს ყურება: ბევრს მოგზაურობ, ძირითად საქმეს თავს ვერ ართმევო... რაკი აქტიურად ვერ ვთანამშრომლობდი, საერთაშორისო კომიტეტის შემადგენლობიდან, ცხადია, გამომიყვანეს, მოგვიანებით კი იძულებული გავხდი სპორტკომიტეტიდანაც წამოვსულიყავი.

**— თუ არ ვცდები, განცხადება გადადგომის თაობაზე მაშინ გააკეთეთ, როცა ჭადრაკის სასახლეში საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის შედეგებს განიხილავდნენ.**

— სპორტის იმ სახეობებში, რომელთა კურატორიც მე ვიყავი, საკმაოდ კარგად გამოვედით სპარტაკიადაზე, მაგრამ ჩემს გარშემო ისეთი ვითარება შეიქმნა, დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. სპარტაკიადის შედეგები აქ არაფერ შუაშია. სულ სხვა რამის გამო დამიპირისპირდნენ და იმდენი მოახერხეს, საქმეს ჩამომაცილეს.

**— კონკრეტულად რას და ვის გულისხმობთ?**

— გრძელი ამბავია, ყველაფერი რომ გიამბოთ, ორი დღე არ გვეყოფა.

**— იქნებ ზოგიერთი რამ მაინც გაიხსენოთ...**

— 1985 წელს „ხაბეიშვილის საქმესთან“ დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროში დამიბარეს. მითხრეს, ქუთაისის ღვინის ქარხნის დირექტორი დავიჭირეთ, 1973 წელს შენი მეშვეობით ხაბეიშვილისთვის ქრთამი აქვს გადაცემულიო. თუ მე ამ „ფაქტს“ ვაღიარებდი, გამოძიებას საქმე უიოლდებოდა. დაკითხვაზეც და სასამართლოზეც განვაცხადე, ამ შუამავლობას როგორ შევძლებდი, მთელი ის წელიწადი საზღვარგარეთ ვიყავი, თბილისში ორი დღით თუ ჩამოვსულვარ, შეგიძლიათ შეამოწმოთ-მეთქი...

ცხადია, ვერსია ჩაეშალათ, მაგრამ ბევრი მაწვალეს. ისეთი დრო დადგა, ვისაც ხაბეიშვილისთვის ხელი ჰქონდა ჩამორთმეული, ყველას ეჭვის თვალით უყურებდნენ და თუ „საქმეში“ ვერ გაიყვანდნენ, სხვაგან ეძებდნენ მაკომპრომეტირებელ „საბუთებს“. ერთი სიტყვით, მივხვდი, რომ დარჩენას აზრი არ ჰქონდა და კომიტეტიდან წასვლის თაობაზე ჭადრაკის სასახლეში, კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე განვაცხადე. სხდომას პატიაშვილიც ესწრებოდა. შესვენებაზე გამომესაუბრა, ნაწყენი ჩანდა — რას შვრები, მეგობარი მგონიხარ და ხალხში ამას როგორ მიკეთებო.

**— ახლა სად მუშაობთ?**

— საქინფორმში, შტატგარეშე კორესპონდენტად.

**— სულ ეს არის?**

— თავისუფალ დროს კორტზე დავდივარ, რამდენიმე ბავშვს ვავარჯიშებ. პირობები არ გვივარგა და ეს ჩვენი საერთო პრობლემაა. თანამედროვე საჩოგბურთო ცენტრის მოწყობა ძნელად თუ მოხერხდება უცხოური ფირმების დახმარების გარეშე. სერიოზული გეგმები მქონდა... მაგრამ დღემდე ვერ მოვაბი თავი. უცხოელები ჩვენში საიმედო პარტნიორს ვერ ხედავენ და საქმის დაჭერასაც ერიდებიან. პოლიტიკური სიტუაცია, ბუნებრივია, სპორტსაც შეეხო... მცხეთაში, სანაპიროზე, დიდი სპორტული კომპლექსის მშენებლობა დავიწყეთ ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოს ყოფილ ტერიტორიაზე. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ სახსრებისა და საჭირო მასალების დეფიციტის გამო საქმე ეს უკვე მერამდენედ შეყოვნდა. ამ დღეებში, ალბათ, მცხეთის პრეფექტს შევხვდები და იქნებ პერსპექტივაც გამოჩნდეს.

**— ჩვენი საუბრის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ფორმაში ვერ ხართ. რა არის ამის მიზეზი? გული აგიცრუვდათ თუ ჩვენთან, რესპუბლიკაში, ნაღდი საქმე აქამდე არ შემოუთავაზებიათ?**

— წინადადებები იყო, მაგრამ ჯერჯერობით კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიმიღია. ერთს დავამატებ: კაბინეტში ჯდომის სურვილი ნამდვილად არა მაქვს.

**— ბოლო ხანს თქვენ ხშირად მოგზაურობთ უცხოეთში...**

— ძირითადად ამერიკაში. იქ სისტემატურად იმართება ვეტერანთა საერთაშორისო ტურნირები, რომელშიც პროფესიონალებსაც იწვევენ და მოყვარულებსაც. ეს არის ერთგვარი საჩოგბურთო ფესტივალი, უშუალოდ შეჯიბრების გარდა ეწყობა შეხვედრები ჩოგბურთის მოყვარულებთან, ფირმების წარმომადგენლებთან. უკანასკნელად შარშან ვიმოგზაურე ამერიკაში — აგვისტოდან დეკემბრამდე იქ ვიყავი. მანამდე კი, აპრილში ფლორიდაში ვეტერანთა საოჯახო ტურნირში ვითამაშე უფროს ვაჟთან — ირაკლისთან ერთად. სხვათა შორის, ირაკლი თავის მეუღლესთან და შვილთან ერთად ახლა ამერიკაშია — ჩესტერტაუნის კოლეჯში ბიზნესის საქმეს სწავლობს, თან ჩოგბურთსაც თამაშობს და იქაურ შეჯიბრებებში მონაწილეობს. ამერიკაში უმცროსი ალექსანდრეც მყავდა, ჩემი იქაური მეგობრების დახმარებით ვაშინგტონის გარეუბანში ერთ საუკეთესო სკოლაში მოეწყო, შემდეგ ტეხასში, ჩოგბურთის აკადემიაში გადავიყვანეთ, მაგრამ დარჩენა არისურვა — უკან გამომყვა.

**— თქვენ თითქმის ოცი წელიწადი გამოდიოდით დიდ სარბიელზე, არაერთი სახელო გამარჯვებაც მოგიპოვებიათ. ამბობენ, ალექსანდრე მეტრეველს უცხოეთში „გამომუშავებული“ ფულადი პრიზები რომ მიეღო, მილიონერი გახდებოდაო.**

— მაშინ სხვა დრო იყო. ფული საკავშირო სპორტკომიტეტს მიჰქონდა. სპორტსმენს მედლების გარდა არაფერი რჩებოდა, პრესაში კი წერდნენ — კაპიტალისტები სპორტსმენებს ექსპლოატაციას უწევენ, არაფრის რცხვენიათო. ყველაფერი პირიქით იყო... ბოლო ხანს ვითარება ნაწილობრივ შეიცვალა, საკავშირო სპორტსახკომი ნელ-ნელა კარგავს მონოპოლიას. ჩვენი ჩოგბურთელები სპორტსახკომს გაურბიან, საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებლად გასვლის გზებს ეძებენ და პოულობენ კიდეც.

**— ლელა მესხზე რას იტყვით?**

— ლელამ თავისი საქმე გააკეთა, დიდი შრომისა და ბრძოლის ფასად მიაღწია ყველაფერს.... თუ სპორტსმენმა დღეში ოთხი-ხუთი საათი არ ივარჯიშა, უძლიერესთა შორის ადგილს ვერ შეინარჩუნებს. ცხადია, შრომისმოყვარეობასთან ერთად ნიჭიც აუცილებელია. ჩვენ ტალანტები არ გვაკლია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩოგბურთის განვითარებისთვის პირობები არ გვივარგა. ვიდრე ეკონომიკურად არ მოვმძლავრდებით, ვიდრე რესპუბლიკაში სტაბილური სიტუაცია არ იქნება, ამ საქმეს ალბათ არ ეშველება.

ესაუბრა
ელგუჯა ბერიშვილი.

## ტექნიკური შედეგები

### მძლეოსნობა

საერთაშორისო ტურნირი. სან-სებასტიანი. ჭოკით ხტომა. 1. სერგეი ბუბკა — 610 (მსოფლიო რეკორდი); 2. ვიქტორ რიჟენკოვი — 591 სმ; 3. იგორ პოტაპოვიჩი და გრიგორი ეგოროვი (ყველა — სსრკ) — ორივემ 581 სმ გადალახა. 60 მ თარჯრბენი. გრეგ ფოსტერი (აშშ) — 7,42 (საუკეთესო შედეგი სეზონში). 60 მ. 1. ჩადი იმო (ნიგერია) — 6,58; 2. რაიმონდ სტიუარტი (იამაიკა) — 6,62; 3. კარლ ლუისი (აშშ) — 6,74. 200 მ. ფლოიდ ჰარდი — 20,91. 400 მ. დენი ჰარისი (ორივე — აშშ) — 45,96. 1500 მ. თეოფილო ბენიტო (ესპანეთი) — 3.40,36. 3000 მ. ჰამუ ბუტაიბი (მაროკო) — 7.50,86. სიმაღლე. ხავიერ სოტომაიორი (კუბა) — 230 სმ. ქალები. 200 მ. ნატალია სერგეევა — 22,46; 60 მ თარჯრბენი. 1. ლიუდმილა ნოროჟილენკო (ორივე — სსრკ) — 7,93; 2. მონიკ ევანჟ-ები (საფრანგეთი) — 7,97.

საერთაშორისო ტურნირი. ჰააგა. 50 მ. 1. ვიტალი სავინი (სსრკ) — 5,77; 2. ბენ ჯონსონი (კანადა) — 5,85. 1000 მ. დონი ვალი (იტალია) — 2.20,86. ქალები. 50 მ. 1. ნელი ფირეკუმანი (ჰოლანდია) — 6,34; 2. ოდია სიდიბე (საფრანგეთი) — 6,35. 1000 მ. 1. ევა კოვაჩი — 2.40,98; 2. დოინა მელინტე (ორივე — რუმინეთი) — 2.41,44. სიმაღლე. ტამარა ბიკოვა (სსრკ) — 195 სმ.

ლისაბონი. საერთაშორისო შეჯიბრება მარათონის ნახევარ დისტანციაზე (21 კმ და 97,5 მ). ქალები. 1. როზა მოტა — 1:09.53; 2. მანუელა დიაში — 1:11.28; 3. ლუცილია სოარეში (სამივე — პორტუგალია) — 1:12.29. ვაჟები. 1. პოლ ივენსი (ინგლისი) — 1:1.44; 2. ანტონიუ პინტუ და ფერნანდუ კოუტე (ორივე — პორტუგალია) — ორივეს 1:1.48.

დონეცკში, ჭოკით მხტომელთა საერთაშორისო ტურნირზე სერგეი ბუბკამ კვლავ დაამყარა მსოფლიო რეკორდი, ამჯერად მან 611 სმ სიმაღლე აიღო. 2. იგორ პოტაპოვიჩი — 581 სმ; 3. გრიგორი ეგოროვი (ორივე — სსრკ) — 575 სმ.

### წყალში ხტომა

ტრადიციული სამატჩო შეხვედრა სსრკ — აშშ — ჩინეთი — გერმანია. მოსკოვი. 15 — 17 მარტი. ქალები. მეტრიანი ტრამპლინი. 1. ილაშკო (სსრკ) — 274,14; 2. სიაო იანცზიუანი (ჩინეთი) — 264,12; 3. ვოლინა (სსრკ) — 262,50. 3—მეტრიანი ტრამპლინი. 1. სიაო იანცზიუანი — 517,14; 2. იპისარევა (სსრკ) — 511,71; 3. დინ ლიფენი (ჩინეთი) — 508,20. კოშკი. 1. ჩუუ ცზინხუნი (ჩინეთი) — 468,84; 2. ი ჰონი (ჩინეთი) — 419,76; 3. იაფონინა (სსრკ) — 417,24. ვაჟები. მეტრიანი ტრამპლინი. 1. პ.ევანსი (აშშ) — 396,93; 2. ლან ვეი (ჩინეთი) — 658,74; 3. მ.ლენზი — 652,68. კოშკი. 1. დსაუტინი (სსრკ) — 642,66; 2. მ.სკოგინი (აშშ) — 622,41; 3. იჰემპელი (გერმანია) — 618,27. გუნდური ჩათვლა: 1. სსრკ — 70; 2. ჩინეთი — 59; 3. აშშ — 52; 4. გერმანია — 40.

### სამბო

საერთაშორისო ტურნირი. ახარლამპიევის მე-IX მემორიალი. 48 კგ — რუდოლფ კიმი (ტაშკენტი); 52 კგ — აიბატირ მახმუტოვი (ალმა-ატა); 57 კგ მუშფიგ ჯაფაროვი (ბაქო); 62 კგ — კონსტანტინე ტროიანოვი (მოსკოვი); 68 კგ — ალექსანდრე ტროფიმოვი (ჩებოკსარი); 74 კგ — რაფიკ ისმაილოვი (ბაქო); 82 კგ — იგორ კოშკინი (ბენდური); 90 კგ — ფურკატ სოლიევი (ბუხარა); 100 კგ — ოლეგ ბაიდინი (ტაშკენტი); 100 კგ ზევით — კობა კუპატაძე (საგარეჯო).

### ფიგურული სრიალი

მსოფლიო ჩემპიონატი. მიუნხენი. 12 — 17 მარტი. წყვილები. 1. ნატალია მიშკუტიონოკი და არტურ დმიტრიევი (სსრკ) — 2,0; 2. იზაბელ ბრასერი და ლოიდ აისლერი (კანადა) — 2,5; 3. ნატაშა კუჩიკი და ტოდი სანდოში (აშშ) — 5,0. ერთეულები. ქალები. 1. კრისტი იამაგუჩი (აშშ) — 1,5; 2. ტონი ჰარდინგი (აშშ) — 3,0; 3. ნენსი კერიგანი (აშშ) — 5,5. ვაჟები. 1. კურტ ბრაუნინგი (კანადა) — 2,0; 2. ვიქტორ პეტრენკო (სსრკ) — 2,5; 3. ტონი ელდრიჯი (აშშ) — 5,5. სპორტული ცეკვები. 1. იზაბელ და პოლ დიუშენე (საფრანგეთი) — 2,8; 2. მარინა კლიმოვა და სერგეი პონომარენკო (სსრკ) — 4,6; 3. მაია უსოვა და ალექსანდრე ჟულინი (სსრკ) — 4,6.

### ცურვა

მსოფლიო თასი. ბონი. 100 მ გულაღმა (25-მეტრიანი აუზი). ვაჟები 1. მარკ ტიუკსბერი (კანადა) — 52,71 (ახალი მსოფლიო მიღწევა).

### თავისუფალი ჭიდაობა

საბჭოთა კავშირის იუნიორთა ჩემპიონატი. კრასნოდარი. 48 კგ. ნამიკ აბდულაევი (აზერბაიჯანი); 52 კგ. მაგომედ კარაიბრაგიმოვი (უზბეკეთი); 57 კგ. გივი სისაური (თბილისი); 62 კგ. ჰასან ჰასანოვი (მოსკოვის ოლქი); 68 კგ. ზაზა ზოზიროვი (გორი); 74 კგ. მაგომეტსალამ გაჯიევი (მახაჩკალა); 82 კგ. ნიკოლაი ტროფიმოვი (მოსკოვი); 90 კგ. ვიტალი გიზოევი (ვლადიკავკაზი); 100 კგ. ოლეგ ლადიკი (კიევი); მძიმე. ჟორიკ კაისამოვი (ვლადიკავკაზი).

### მშვილდოსნობა

მსოფლიო ჩემპიონატი დარბაზში (18 და 25 მ დისტანციებზე ფინალით). ქალები. 1. ნატალია ვალეევა (სსრკ); 2. ჩინ ჩიუ (ტაივანი); 3. სიუზან ბონელი (საფრანგეთი)... 5. ხათუნა ქვრივიშვილი (თბილისი). ვაჟები. 1. სებასტიან ფლუტი (საფრანგეთი); 2. ჯეი ბარსი (აშშ); 3. ვადიმ შიკარიოვი (სსრკ). ე.წ. საბრძოლო მშვილდი. ქალები. 1. ლ.პანიკო (იტალია); 2. კ. რანტანენი (ფინეთი); 3. გლერანი (აშშ). ვაჟები. 1. ჯ. ესეი; 2. დ.კოლბი; 3. ჯ. ფოელსი (ყველა აშშ).

### თანამედროვე ხუთჭიდი

საბჭოთა კავშირის გუნდური ჩემპიონატი. მოსკოვი. 1. „დინამო-I" (ე.ზენოვკა, ასტაროსტინი, ამაკეევი) — 17 075 ქულა; 2. „დინამო-IV" — 16 870; 3. საბჭოთა არმია (ამ გუნდში გამოდიოდა ვახტანგ იაგორაშვილიც) — 16 845. არაოფიციალურ პირად ჩათვლაში ვ. იაგორაშვილმა მესამე ადგილი დაიკავა.

### ბურთიანი ჰოკეი

მსოფლიო ჩემპიონატი. ჰელსინკი. „ა" ჯგუფი. სსრკ—ნორვეგია 12:0. შვეცია—სსრკ 4:3. ფინეთი—შვეცია 4:10. ფინეთი—ნორვეგია 11:2. „ბ" ჯგუფი. აშშ—კანადა 10:0. ჰოლანდია—უნგრეთი 2:3. აშშ—უნგრეთი 20:0. კანადა—ჰოლანდია 8:0.

## მეოთხედფინალი

### მეორე ტური

ჩემპიონთა თასი

„რეალი" — „სპარტაკი" 1:3 (0:0)
„მარსელი" — „მილანი" 1:0 (1:1)
„პორტუ" — „ბაიერნი" 0:2 (1:1)
„დინამო" (დრეზდენი) — „ცრვენა ზვეზდა" 1:2 (0:3)

თასების თასი

„სამპდორია" — „ლეგია" 2:2 (0:1)
„ბარსელონა" — „დინამო" (კიევი) 1:1 (3:2)
„მონპელიე" — „მანჩესტერ იუნაიტედი" 0:2 (1:1)
„იუვენტუსი" — „ლიეჟი" 3:0 (3:1)

უეფა-ს თასი

„სპორტინგი" (ლისაბონი) — „ბოლონია" 2:0 (1:1)
„ტორპედო" — „ბრონდბიუ" 1:0 (0:1), პენ. 2:4
„ინტერი" — „ატალანტა" 2:0 (0:0)
„ანდერლეხტი" — „რომა" 2:3 (0:3)

# არივედერჩი, «მილან»

ჩემპიონთა თასის მფლობელი იტალიის „მილანი" დამარცხდა საფრანგეთის „მარსელთან" (0:1) და შეჯიბრებას გამოეთიშა. გოლი მატჩის 75-ე წუთზე ინგლისელმა ქრის უოდლმა გაიტანა. თამაშის შემდეგ „მარსელის" მწვრთნელმა ბელგიელმა რაიმონ გუტალსმა თქვა: „მე ჯერ კიდევ პირველი მატჩის შემდეგ ვიწინასწარმეტყველე, რომ განმეორებითი თამაში გაცილებით უფრო ძნელი იქნებოდა. ასეც მოხდა, ჩვენ „მილანთან" თამაში დღეს უფრო გაგვიჭირდა, ვიდრე ორი კვირის წინ. ეს უდიდესი დღეა „მარსელისთვის", ჩვენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი გუნდი დავამარცხეთ".

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა მატჩი მადრიდში, სადაც „რეალმა" წააგო მოსკოვის „სპარტაკთან" — 1:3. მადრიდელებმა პირველ თამაშში, სტუმრად ფრეს მიაღწიეს, განმეორებით მატჩში უკვე მე-9 წუთზე გახსნეს ანგარიში (ბუტრაგენიო) და თითქოს საქმის




ოლეგ მარკევიჩის ფოტო

კიევის რესპუბლიკურ სტადიონზე გადაღებულ ამ ფოტოზე ადგილობრივი „დინამოსა" და „ბარსელონის" პირველი მეოთხედფინალური მატჩის მომენტია აღბეჭდილი.

ბოლომდე მიყვანა აღარ უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ საბჭოთა ფეხბურთელებმა თამაშში გარდატეხა შეიტანეს და გაიმარჯვეს. გოლები გაიტანეს რადჩენკომ (2) და შმაროვმა. ესპანელი მიმომხილველების აზრით, „სპარტაკმა" მატჩი ძალზე მშვიდად, აუღელვებლად ჩაატარა და გამარჯვებაც დაიმსახურა. ახლა, როცა მადრიდის „რეალი" ჩემპიონთა თასის მოპოვების იმედს დაემშვიდობა, გამოეთიშა ესპანეთის თასის გათამაშებას, ხოლო ჩემპიონატში ლიდერს, „ბარსელონას" 16 ქულით ჩამორჩება, კლუბის პრეზიდენტის მოახლოებული არჩევნები ახლანდელ პრეზიდენტს მენდოსას კარგს არაფერს უქადის.

მატჩი დრეზდენში „დინამოსა" და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" შორის შეწყდა 78-ე წუთზე, როცა სტუმრები იგებდნენ ანგარიშით 2:1. შეხვედრის პირველი ბურთი დრეზდენელებმა გაიტანეს — „ცრვენა ზვეზდას" ფეხბურთელმა ხელით ითამაშა საკუთარ საჯარიმო მოედანზე და გუთშოვმა ზუსტად დაარტყა პენალტი. მეორე ტაიმში სავიჩევიჩის (52-ე წუთზე) და პანჩევის (69-ე წუთზე) გოლებმა წინ გაიყვანეს „ცრვენა ზვეზდა". შეხვედრის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე მაყურებლები მოედანზე გადაცვივდნენ, თავს დაესხნენ პოლიციას, ისროდნენ ქვებს და ბოთლებს. ესპანელმა მსაჯმა ემილიო სორიანომ ჩათვალა, რომ მატჩის გაგრძელება შეუძლებელი იყო და გუნდებმა გასახდელს შეაფარეს თავი. შეტაკებები პოლიციასა და მაყურებლებს შორის სტადიონის გარეთაც გაგრძელდა. ხულიგნების დასაშლელად პოლიცია იძულებული გახდა წყლის ჭავლი გამოეყენებინა. შეტაკებების შედეგად არის დაჭრილები როგორც პოლიციელთა, ასევე მაყურებელთა მხრიდან.

კიდევ ერთ მეოთხედფინალში „პორტუ" დამარცხდა „ბაიერნთან" — 0:2. „ბაიერნის" მცველებმა მოახერხეს „პორტუს" ყველაზე სახიფათო ფეხბურთელების დომინგუშისა და კოსტადინოვის შეკავება. გერმანელმა ფეხბურთელებმა შეძლეს რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევის განხორციელება და ორჯერ მიაღწიეს წარმატებას. პირველი გოლი მე-18 წუთზე 19 წლის ქრისტიან ციგემ გაიტანა, მეორე — 71-ე წუთზე მანფრედ ბენდერმა.

თასების თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდნენ „მანჩესტერ იუნაიტედი", „ბარსელონა", „იუვენტუსი", და „ლეგია". „მანჩესტერმა" სტუმრად მოუგო „მონპელიეს" (2:0), რომელსაც რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა — დისკვალიფიცირებული ბაი და გერენი, აგრეთვე ტრავმირებული დერ ზაკარიანი. „მონპელიეს" წაგებაში დიდი „წვლილი" მიუძღვის მეკარე ბარაბს, რომელმაც ბლექმორის მიერ 40 მეტრიდან დარტყმული საჯარიმო ვერ მოიგერია. მეორე ტაიმში ისევ ბლექმორმა შექმნა სახიფათო მომენტი ფრანგების კართან და „მონპელიეს" მცველმა კოლეტემ წააქცია „მანჩესტერის" თავდამსხმელი. პენალტი ბრუსმა გამოიყენა — 2:0. ამის შემდეგ სტუმრების უპირატესობა აშკარა გახდა და ტრიბუნებზეც მხოლოდ ინგლისელი გულშემატკივრების სიმღერა ისმოდა. მატჩის მიწურულს ბლექმორმა ბურთი ძელს მოახვედრა. საბოლოოდ, „იუნაიტედმა" დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

შეჯიბრებას გამოეთიშა თასების თასის მფლობელი გენუის „სამპდორია", რომელმაც შინ ფრედ (2:2) დაამთავრა მატჩი ვარშავის „ლეგიასთან". მასპინძელთაგან გოლები გაიტანეს მანჩინიმ და ვიალიმ, სტუმართაგან ორივე ბურთი კოვალსკის ანგარიშზეა.

ნახევარფინალში გავიდა ესპანეთის ერთადერთი დარჩენილი გუნდი „ბარსელონა". „ბარსელონამ" ფრედ (1:1) ითამაშა კიევის „დინამოსთან". გოლები გაიტანეს იურანმა („დინამო") და ამორმა („ბარსელონა").

„იუვენტუსმა" კიდევ ერთხელ მოუგო ბელგიის „ლიეჟს" — 3:0 (კაზირაგი, სკილაჩი, ჰესლერი).

შეჯიბრებას ბელგიის მეორე გუნდიც გამოეთიშა, რომელიც უეფას თასზე გამოდიოდა. „ანდერლეხტი" დამარცხდა იტალიის „რომასთან" — 2:3, აღსანიშნავია, რომ „რომა" მატჩს მშრალი ანგარიშით (3:0) იგებდა, მას შემდეგ, რაც რუდი ფიოლერმა „ჰეთ-ტრიკი" შეასრულა, მაგრამ „ანდერლეხტმა" ჰოლანდიელი ფეხბურთელის კოიმანის მეშვეობით მოახერხა ანგარიშში სხვაობის შემცირება.

„ინტერმა" დაამარცხა „ატალანტა" — 2:0. ორივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა — სერენა და მათეუსი.

იტალიის კიდევ ერთმა გუნდმა „ბოლონიამ" წააგო ლისაბონში „სპორტინგთან" — 0:2. გოლები გაიტანეს კადეტემ და ფერნანდუ გომეშმა (პენალტით).

დანიის საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში პირველად ამ ქვეყნის გუნდი („ბრონდბიუ") ევროპის თასის ნახევარფინალში ითამაშებს. თუმცა „ბრონდბიუ" დამარცხდა „ტორპედოსთან" — 0:1 (შირინბეკოვი), მაგრამ გაიმარჯვა მატჩის შემდგომი პენალტებით.

ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის წილისყრა დღეს ჩატარდება, ხოლო ნახევარფინალური მატჩები 10 და 24 აპრილს გაიმართება.

# პელე არა... უოდლი

საფეხბურთო ევროპის ყურადღების ცენტრში იყო ჩემპიონთა თასის საპასუხო მეოთხედფინალური შეხვედრა „მარსელსა" და „მილანს" შორის მარსელში. პირველი მატჩის ანგარიში (1:1) გარკვეულ უპირატესობას მასპინძლებს ანიჭებდა, ხოლო სტუმრებს აიძულებდა შეტევაზე ეფიქრათ. მთელი თამაში მიმდინარეობდა მაღალ ტემპში, ორივე გუნდმა პრესინგს მიმართა. ფეხბურთელები უხეშობასაც არ თაკილობდნენ, რისი დასტურიც არის შვედი მსაჯის კარლსონის მიერ ნაჩვენები ხუთი ყვითელი ბარათი. სამჯერ გააფრთხილეს მილანელები: ტასოტი, ანჩელოტი და ევანი, ორჯერ — „მარსელის" მოთამაშეები ამორო და მოზერი. აღსანიშნავია, რომ პირველი ტაიმი, საგოლე მომენტების სიუხვით არ გამოირჩეოდა. მეორე ტაიმი გაცილებით საინტერესო გამოდგა. „მარსელის" ფეხბურთელები კარგად იყენებდნენ ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის ხერხს. ალბათ „მილანის" შეტევები უფრო მწვავე იქნებოდა, მოედანზე სახელგანთქმული მარკო ვან ბასტენი რომ ყოფილიყო. მატჩის გმირი კი აშკარად „მარსელის" რვა ნომერი, ინგლისელი უოდლი იყო და არა მარტო იმიტომ, რომ მან მეორე ტაიმის 81-ე წუთზე კომბინაცია პელე-ამორო-უოდლი ბრწყინვალე გოლით დააგვირგვინა, არამედ იმიტომ რომ ამ დაუღალავმა ფეხბურთელმა მთელი მატჩის განმავლობაში „დატანჯა" იტალიელთა გუნდის მცველები სახიფათო გარღვევებით, პასებით და დარტყმებით. უხეში თამაშის მსხვერპლიც ყველაზე ხშირად სწორედ ის იყო. მატჩის დამთავრებამდე წამებიღა რჩებოდა, როცა უოდლი მეტად ეფექტური დრიბლინგით შეიჭრა „მილანის" საჯარიმოზე, თუმცა ამ შეტევას გოლი არ მოჰყოლია. სწორედ ამ დროს მარსელის სტადიონზე — გამოირთო ერთ-ერთი გამნათებელი კოშკი. ამან იტალიელ ფეხბურთელთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და მსაჯთან თუ სხვა ოფიციალურ პირებთან კამათის საბაბი მისცა. მსაჯმა კარლსონმა, მცირე თათბირის მერე, გუნდებს მოუწოდა გაეგრძელებინათ შეხვედრა, მაგრამ მილანელები მოედანზე აღარ გავიდნენ. კარლსონმა ჩართო წამზომი და... საფინალო სასტვენის ხმაც გაისმა.



## უმასპინძლებს პორტუგალია

პორტუგალიის ქალაქ ეშტორილში ჩატარდა იუნიორ ფეხბურთელთა მეექვსე მსოფლიო ჩემპიონატის კენჭისყრა. ჩემპიონატის პირველ ეტაპზე თექვსმეტი მონაწილე ოთხ ჯგუფში განაწილდა.

ლისაბონსა და პორტუში ითამაშებენ: პორტუგალია, ირლანდია, არგენტინა, კორეა (ჩრდილო და სამხრეთ კორეა საერთო გუნდით გამოვა). ასევე პორტუში ითამაშებენ მექსიკა, შვეცია, ბრაზილია, კოტ დ'ივუარი; გიმარაეშსა და ბრაგაში იასპარეზებენ ეგვიპტე, ტრინიდადი და ტობაგო, ავსტრალია, სსრკ; ქალაქ ფაროში კი — სირია, ურუგვაი, ინგლისი, ესპანეთი.

ტურნირი ჩატარდება 14-დან 30 ივნისამდე.



# გადაარჩინე „რეალი“, რობერტ!

მიუხედავად მიმდინარე სეზონში კატასტროფული წარუმატებლობისა, მადრიდის "რეალი" მაინც აპირებს „სარეკორდო სიმაღლის დალაშქვრას“, ოღონდ... საფეხბურთო მინდვრის გარეთ. კრიზისიდან თავის დასაღწევად კლუბის ხელმძღვანელობა მზადაა საკუთარი სალაროდან ჯერ არნახული თანხა — 14 მილიონი დოლარი გაიღოს.

მხსნელის „როლისთვის“ მადრიდელებმა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასა“ და იუგოსლავიის ნაკრების 22 წლის ნახევარმცველი რობერტ პროშინეცკი შეიგულეს. კონტრაქტის პირობის შესაბამისად ამ ფეხბურთელმა ავანსად უკვე მიიღო 500 000 დოლარი. კიდევ 3,5 მილიონი დოლარი მის ახლანდელ კლუბს გადაერიცხება. დანარჩენ 10 მილიონს კი პროშინეცკი ხუთი წლის განმავლობაში მიიღებს. „რეალში“ მან სწორედ ეს დრო უნდა გაატაროს.

პროშინეცკი „რეალს“ შეუერთდება ივნისში, იუგოსლავიის მორიგი ჩემპიონატის დამთავრებისთანავე. ამ დროისთვის ამოიწურება არმიაში სამსახურის ვადაც.

რობერტ პროშინეცკიმ თამაში ზაგრების „დინამოში“ დაიწყო და „ცრვენა ზვეზდაში“ 1987 წელს გადავიდა.

## იტალია

„სამპდორიამ“ სტუმრად მოუგო „პიზას“ (3:0) და პირველ ადგილზე გადაინაცვლა. გენუელებს წარმატება მანჩინის, ვიალისა და მანჩინის გოლებმა მოუტანა. „ინტერმა“ ფრედ (0:0) ითამაშა „პარმასთან“. მესამე ადგილზე კვლავ „მილანია“, რომელიც შინ დამარცხდა „ატალანტასთან“ — 0:1. ერთადერთი გოლი მატჩის 51-ე წუთზე, კანიჯას გადაცემის შემდეგ ევაირმა გაიტანა.

„ნაპოლიმ“ ძოლას გოლის წყალობით მოუგო „ბარის“ — 1:0. „იუვენტუსისა“ და „ბოლონიას“ მატჩში ანგარიში სტუმრებმა გახსნეს (ვაასი), მაგრამ „იუვენტუსი“ ბაჯოს მიერ 90-ე წუთზე გატანილმა პენალტმა გადაარჩინა. ფრედ (1:1) დამთავრდა მატჩი „ჩეზენასა“ და „რომას“ შორის. გოლები გაიტანეს ფიოლერმა („რომა“) და ჩოჩიმ („ჩეზენა“).

„ჯენოამ“ მოუგო „ფიორენტინას“ 3:2. გენუელთაგან ორი გოლი სკუჰრავიმ გაიტანა, ერთი — აგილერამ. ერთნაირი ანგარიშით (1:1) დამთავრდა კიდევ ორი მატჩი: „ლაციო“ — „კალიარი“ და „ლეჩე“ — „ტორინო“.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამპდორია“ | 25 | 15 | 7 | 3 | 38-15 | 37 |
| „ინტერი“ | 25 | 14 | 8 | 3 | 44-23 | 36 |
| „მილანი“ | 25 | 12 | 8 | 5 | 29-16 | 32 |
| „ჯენოა“ | 25 | 11 | 8 | 6 | 37-25 | 30 |
| „იუვენტუსი“ | 25 | 10 | 9 | 6 | 35-20 | 29 |

## საფრანგეთი

30-ე ტურში „ოსერმა“ ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა და კიდევ ერთი ქულით მიუახლოვდა ლიდერს „მარსელს“. „ოსერმა“ გაანადგურა „ნიცა“ (5:1). გოლები გაიტანეს დუტუელმა, კატალანომ, კოკარმა, შიფომ (პენალტით) და კოვაჩმა. „ნიცამ“, რომელსაც აკლდა წამყვანი ფეხბურთელები ბოკანდე და ლანგერსი, — ვერ გაუწია „ოსერს“ სათანადო წინააღმდეგობა.

„მონაკომ“ ფრედ (0:0) ითამაშა „კანთან“. ასევე ფრედ (1:1) დაამთავრა მატჩი „მარსელმა“, სტუმრად „სენტ-ეტიენთან“. ამ შეხვედრაში დაშავდა „მარსელისა“ და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი ბერნარ პარდო. ტრავმა იმდენად სერიოზულია, რომ პარდო მიმდინარე სეზონში ველარ ითამაშებს.

„პარი სენ-ჟერმენმა“ მოუგო „ბორდოს“ — 1:0. გოლი მე-20 წუთზე თერთმეტმეტრიანი დარტყმით იუგოსლაველმა საფეტ სუშიჩმა გაიტანა. დებუს მიერ გატანილმა გოლმა გამარჯვება მოუტანა „ტულუზას“ სოშოში, ადგილობრივ გუნდთან. ამ ჩემპიონატში ეს „ტულუზას“ პირველი მოგებაა გასვლით შეხვედრაში.

სხვა მატჩები: „ბრესტი“ — „ნანტი“ 1:0, „ტულონი“ — „კაენი“ 0:0, „რენი“ — „ლილი“ 1:3, „მონპელიე“ — „ლიონი“ 1:0, „ნანსი“ — „მეცი“ 0:1.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი კვლავ ჟან-პიერ პაპენია — 19 გოლი. 14 ბურთი გაიტანა ლორ ბლანმა („მონპელიე“), 12 — კამერუნელმა ფრანსუა ომამ-ბიიკმა („რენი“).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მარსელი“ | 30 | 19 | 6 | 5 | 54-21 | 44 |
| „ოსერი“ | 30 | 15 | 9 | 6 | 52-29 | 39 |
| „მონაკო“ | 30 | 14 | 10 | 6 | 35-23 | 38 |
| „მონპელიე“ | 30 | 12 | 9 | 9 | 42-30 | 33 |
| „კანი“ | 30 | 10 | 13 | 7 | 26-23 | 33 |

## პორტუგალია

27-ე ტურში ორივე ლიდერმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვა. „პორტუმ“ „სეტუბალთან“ შეხვედრაში უკვე მე-10 წუთზე გახსნა ანგარიში (დომინგუში). 31-ე წუთზე ნუნეშმა პენალტით საპასუხო გოლი გაიტანა, მაგრამ მალე ბრაზილიელმა ალოიზიომ კვლავ წინ გაიყვანა „პორტუ“. მეორე ტაიმის დასაწყისში და მატჩის მიწურულს დომინგუშმა კიდევ ორი გოლი გაიტანა — 4:1.

ასეთივე ანგარიშით „ბენფიკამ“ მოუგო მადეირის „უნიაუს“. ლისაბონელთა მხრიდან გოლები გაიტანეს: რიკარდუმ (44-ე და 72-ე წუთებზე), რუი აგუაშმა (69) და ვიტორ პანეირამ (76).

სხვა ანგარიშები: „ფარენსე“ — „პენაფიელი“ 2:0, „გიმარაეში“ — „სალგეიროში“ 2:1, „ჟილ ვისენტე“ — „ბოავიშტა“ 4:1, „ბეირა მარი“ — „ბელენენსეში“ 1:1, „მარიტიმუ“ — „ეშტრელა“ 1:1, „სპორტინგი“ — „ნასიონალი“ 3:0, „ტირსენსე“ — „ფამალიკაუ“ 2:0, „შავეში“ — „ბრაგა“ 0:1.

ბომბარდირთა სიას სათავეში სამი პორტუგალიელი ფეხბურთელი უდგას: 19 გოლი გაიტანეს ფერნანდუ გომეშმა („სპორტინგი“) და რუი აგუაშმა („ბენფიკა“), 16 — დომინგუშმა („პორტუ“).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბენფიკა“ | 27 | 22 | 4 | 1 | 62-16 | 48 |
| „პორტუ“ | 27 | 22 | 4 | 1 | 57-16 | 48 |
| „სპორტინგი“ | 27 | 20 | 3 | 4 | 47-16 | 43 |
| „ბოავიშტა“ | 27 | 11 | 8 | 8 | 37-32 | 30 |
| „ბეირა მარი“ | 28 | 8 | 12 | 8 | 29-30 | 28 |




ესპანეთის ჩემპიონატის 26-ე ტურში ხიხონის „სპორტინგის“ ნ ევარმცველმა ლუის ენრიკემ ოახერხა მადრიდის „ატლეტიკოს“ კარის აღება. ეს მოხდა მატჩის 44-ე წუთზე, როცა „ატლეტიკო“ უკვე იგებდა შეხვედრას ანგარიშით 2:0. ამრიგად, „ატლეტიკოს“ მეკარე აბელს ესპანეთის ჩემპიონატის მატჩებში ბურთი არ გაუშვია ზედიზედ 1274 წუთის განმავლობაში, რაც მსოფლიო რეკორდს შეადგენს. ამ მატჩში „ატლეტიკომ“ დაამარცხა „სპორტინგი“ — 3:1. ორი გოლი გაიტანა მანოლომ, რომელიც 14 ბურთით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია.

„ატლეტიკოს“ 39 ქულა აქვს და 5 ქულით ჩამორჩება „ბარსელონას“, რომელმაც „ოსასუნა“ დაამარცხა — 2:0 (სტოიჩკოვი, ბაკერო). „ოსასუნა“ 31 ქულით მესამე ადგილზეა.

ზედიზედ მესამედ დამარცხდა მადრიდის „რეალი“, ამჯერად „ლოგრონიესთან“ — 0:1. მადრიდელები მეშვიდე ადგილზე იმყოფებიან და მომავალ სეზონში უეფას თასის გათამაშებაში ადგილისთვის დაძაბული ბრძოლა მოუწევთ „ვალენსიასთან“ და „სევილიასთან“.

„კასტელიონმა“ შინ მოუგო ბილბაოს „ატლეტიკს“ — 2:0. მატჩის შემდეგ ბილბაოელთა კლუბის ხელმძღვანელობამ გაათავისუფლა მწვრთნელი კლემენტე.

ბელგიის ჩემპიონატს ახალი ლიდერი ჰყავს — „ანდერლეხტმა“ სტუმრად მოუგო „ბრიუგეს“ (2:0), ხოლო „გენტი“ ასეთივე ანგარიშით დამარცხდა ლიეჟში „სტანდარდთან“. 41 ქულა აქვს „ანდერლეხტს“, 39 — „გენტს“, 37 — „მეხელენს“.

ჰოლანდიაში ლიდერმა „ეინდჰოვენმა“ მოუგო რკს-ს — 3:0. „გრონინგენმა“ დაამარცხა სვვ — 1:0. ფრედ (1:1) დამთავრდა „აიაქსისა“ და „უტრეხტის“ შეხვედრა. პირველ ადგილზეა „ეინდჰოვენი“ (33 ქულა და 1 გამოტოვებული მატჩი). „გრონინგენს“ 31 ქულა აქვს, ხოლო „აიაქსს“ 27 ქულა და 3 გამოტოვებული მატჩი.

ინგლისში ჩემპიონობისათვის კვლავ ორი გუნდი იბრძვის. „ლივერპულსა“ და „არსენალს“ 60-60 ქულა აქვთ, ოღონდ „არსენალმა“ ერთი თამაშით ნაკლები ჩაატარა. მორიგ ტურში „არსენალმა“ მოუგო „ლიდსს“ (2:0), ხოლო „ლივერპულმა“ „სანდერლენდს“ (2:1), მესამე ადგილზეა „კრისტალ პალასი“, რომელმაც „დერბი ქაუნთი“ დაამარცხა — 2:1.

შოტლანდიის თასის მეოთხედფინალის მატჩები: „სელტიკი“ — „რეინჯერსი“ 2:0, „დანდი იუნაიტედი“ — „დანდი“ 3:1, „სენტ-ჯონსტონი“ — „ეარ იუნაიტედი“ 5:2, „მაზერველი“ — „მორტონი“ — 0:0, გადათამაშება 1:1, პენალტებით 5:4.

მატჩი გლაზგოში „სელტიკსა“ და „რეინჯერსს“ შორის მასობრივი არეულობით აღინიშნა. მეტოქე გუნდების უხეში თამაში, საზოგადოე ჩხუბში გადაიზარდა. „რეინჯერსის“ ცამი და „სელტიკის“ ერთ ფეხბურთელი გააძევა მოედნიდან. ცემა ტყეპა ატყდა ტრიბუნებზეც, სადაც პოლიციამ 40 მაყურებელი დააკავა მატჩის შემდეგ „რეინჯერსის“ მწვრთნელმა გრემ სუნესმა ბოდიში მოიხადა თავისი გუნდის არასპორტული საქციელის გამო. მოსალოდნელია, რომ შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაცი მკაცრად დასჯის არეულობის ინიციატორს, გლაზგოს „რეინჯერსს“.

ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: „სელტიკი“ — „მაზერველი“ „დანდი იუნაიტედი“ — „სენტ-ჯონსტონი“.

საბერძნეთის ჩემპიონატის 23-ე ტურში ლიდერებმა მორიგი გამარჯვებ მოიპოვეს: „პანათინაიკოსმა“ მოუგო „ირაკლისს“ — 2:0, „ოლიმპიაკოსმა“ — „პანიონისს“ — 4:1, ხოლო „ათინაიკოსმა“ — „არისს“ — 2:1. პირველ ადგილზე „პანათინაიკოსი“ — 35 ქულა. ორი ქულით ნაკლები აქვს „ოლიმპიაკოსს“, ოთხით — „ათინაიკოსს“.

გერმანიის ჩემპიონატში ლიდერობს „ბაიერნი“, რომელმაც 21-ე ტურში მოუგო „კარლსრუეს“ — 3:0. გოლები გაიტანეს ბრაიან ლაუდრუპმა ეფენბერგმა და ვოლფარტმა. ეს უკანასკნელი 15 გატანილი ბურთით სათავეში უდგას ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა სიას.

„ბაიერნს“ 29 ქულა აქვს და ერთი ქულით უსწრებს „ვერდერს“, რომელიც „ჰამბურგთან“ დამარცხდა — 2:3. ასევე 28 ქულა აქვს „კაიზერსლაუტერნს“.


# კავკასიის ბირჟა

## აქციონერთა საყურადღებოდ!

### საორგანიზაციო კომიტეტის ცნობა

გრძელდება მუშაობა ბირჟის წესდების პროექტზე. ყოველდღე, კვირის გარდა, დილის 10 საათიდან სარედაქციო კომისია მზად არის მიიღოს და განიხილოს აქციონერთა წინადადებები და შენიშვნები ბირჟის წესდების პროექტსა და სხვა დამფუძნებელ დოკუმენტებთან დაკავშირებით.

ორგანიზაციებს, რომლებიც „კავკასიის ბირჟის“ აქციონერები გახდნენ, გთხოვთ, ოპერატიულად მიაწოდოთ საორგანიზაციო კომიტეტს თავისი რეკვიზიტები.

საბროკერო კანტორების რეგისტრაცია. აქციონერებმა, რომლებსაც აქციების სრული პაკეტი (100 ათასი მანეთი) და საბროკერო კანტორის გახსნის უფლებამოსილება აქვთ, 10 აპრილამდე აუცილებლად უნდა შეიტანონ განცხადება საორგანიზაციო კომიტეტში.

„კავკასიის ბირჟის“ მორიგი კონფერენციის დღეს დამატებით გაცნობებთ.

შეგახსენებთ „კავკასიის ბირჟის“ მისამართს: ქეთევან წამებულის გამზირი №71. ტელ: 74-42-99, 74-35-49, 74-62-66.

სააქციო საზოგადოება „კავკასიის ბირჟა“
სარეკლამო სააგენტო „მი-მი-ნო“

## II ეტაპი (24 მარტი)

### „ინტერლაგოსი“



1990 ალენ პროსტი
1989 ______
1988 ______
1987 ______
1986 ______

ბრაზილიის დიდი პრიზის გათამაშება წლების მანძილზე რიო დე ჟანეიროში ჯაკარეპაგუას ტრასაზე ეწყობოდა, გასული წლიდან კი სან-პაულუში გადაინაცვლა.

ინტერლაგოსის 4225 მეტრიან წრეს პილოტები 71-ჯერ უვლიან გარს, რაც ჯამში 300 კმ-ს შეადგენს. პაპანაქება სიცხისგან გავარვარებული ასფალტი ხარბად ჭამს საბურავების რეზინას და მექანიკოსებს ორჯერ, ზოგჯერ კი სამჯერაც უხდებათ მონოპოსტების „ფეხსაცმლის“ გამოცვლა.



ინტურლაგოსის ტრასაზე პირველ რბოლაში გაიმარჯვა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ფრანგმა ალენ პროსტმა. მისი „ფერარი“ ფინიშთან 1 საათის, 37 წუთისა და 21 წამის შემდეგ მიიჭრა — 189,2 კმ/სთ საშუალო სიჩქარით.

საერთოდ, სწორედ პროსტია ბრაზილიის ტრასების რეკორდსმენი — მას ექვსჯერ აქვს მოგებული ამ ქვეყნის დიდი პრიზი. თავის სამშობლოში აშკარად არ წყალობს ბედი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს აირტონ სენას. მან ვერც ერთხელ ვერ მოიპოვა გამარჯვება. ახლა რბოლა მის მშობლიურ სან-პაულუში გადაიტანეს და იქნებ იქ მაინც გატეხოს ნავსი.

# მაინც რომელი?

„მფრინავ მოთხილამურეთა“ სამყაროში ბოლო ხანს გაჩაღებული დებატები ძალზე გვაგონებს კამათს იმაზე, თუ რომელი მხრიდან ჯობს კვერცხის გატეხა. ტრამპლინიდან ხტომის კლასიკური სტილის მომხრენი თვლიან, რომ მხოლოდ მათ აქვთ არსებობის უფლება. მოწინააღმდეგე მხარე ამტკიცებს, რომ მომავალი ახალ მიმართულებას ეკუთვნის, რომელსაც მხტომელებმა „V-სტილი“ უწოდეს.

კლასიკურისგან განსხვავებით, როცა მხტომელს ფრენის დროს თხილამურები ერთიმეორის პარალელურად უჭირავს, ახალი მანერის მიმდევრები ნახტომის შესრულებას თხილამურების ცხვირებს განზე სწევენ, ისე, რომ ჰაერში ლათინური „V“ ასო „გამოსახონ“. ოფიციალურ შეჯიბრებებზე უპირატესობა უფრო ესთეტიკურ „კლასიკურ ხერხს“ ენიჭება. და მაინც ხტომის უახლესი მანერის სულ უფრო მზარდმა პოპულარობამ სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის კონსერვატიული ხელმძღვანელობა აიძულა საკითხი 1992 წლის ოლიმპიადისთვის აღარ გადადოს და უკვე მანამდე სერიოზულად იფიქროს ორივე სტილის „თანასწორუფლებიანობის“ აღიარებაზე.

მაგრამ ეს ხელს არ აძლევს ახალი მიმართულების მიმდევრებსა და მომხრეებს. თვით 1980 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, ამჟამად ავსტრიის ნაკრების მწვრთნელი ტონი ინაუერიც კი იმ აზრისაა, რომ „V“ სტილთან დაკავშირებული ყველა საკითხი სწორედ დღეს, დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს. „ახალი სტილი უფრო პერსპექტიულია და გაიმარჯვებს ის სპორტსმენი, რომელიც მას აირჩევს“, — ამტკიცებს იგი.

ამ გაზაფხულზე სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია შეეცდება გადაწყვიტოს სადაო საკითხი. მაგრამ სიახლეს შეიძლება ხმა არ მისცეს ნორვეგიამ, რომლის წარმომადგენლებიც ერთგულად იცავენ კლასიკურ სტილს. საქმე ის გახლავთ, რომ ეს სტილი ახალზე უფრო არტისტულია, თუმცა „V-სტილი“ 5-7 მეტრით ზრდის ფრენის სიშორეს, მაგალითად, 90-მეტრიან ტრამპლინზე შეჯიბრებისას.

# შარუნას მარჩიულიონისი «მეომრებს» შორის



„ჩემი კარიერის მანძილზე ძალიან ბევრი იმედისმომცემი კალათბურთელი მინახავს, მაგრამ მარჩიულიონისი საუკეთესოა მათ შორის“, — ეს სიტყვები ნბა-ს ერთ-ერთი მოწინავე გუნდის „გოლდენ სტეიტ უორიორზის“ მწვრთნელ დან ნელსონს ეკუთვნის.

შარუნას მარჩიულიონისი, ვილნიუსის „სტატიბასა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების წამყვანი მოთამაშე, ერთ-ერთი ევროპელთაგანია, რომელიც წარმატებით გამოდის კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ჩემპიონატში.

„გოლდენ სტეიტის“ ხელმძღვანელობამ პირველად 1987 წელს მიაქცია ყურადღება ახალგაზრდა კალათბურთელს და თავის სარეზერვო სიაში შეიყვანა. მაგრამ მაშინ საბჭოთა სპორტში (ისევე როგორც მთელს კავშირში) ბიუროკრატული აპარატი მძლავრობდა და კონტრაქტი არ შედგა. ორი წლის შემდეგ „უორიორზის“ ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ მოინდომა მარჩიულიონისის „დასაკუთრება“.

საბჭოთა კავშირში კონტრაქტის გაფორმებას არაფერი აკლდა, მაგრამ აქ უკვე ამერიკელ კალათბურთის სპეციალისტთა აზრი გაიყო: შეძლებს მარჩიულიონისი ნბა-ს დონეზე თამაშს? ამჯერად ყველაფერი გადაწყვიტა მწვრთნელის — დან ნელსონის აქტიურობამ და 1989 წლის 23 ივნისს შარუნას მარჩიულიონისმა ხელი მოაწერა სამწლიან კონტრაქტს. ის პირველი საბჭოთა კალათბურთელია, რომელსაც აშშ-ის კალათბურთის ეროვნულმა ასოციაციამ გაუღო კარი.

შარუნასის მეუღლე ინგა მოგვიანებით, ოქტომბერში ჩავიდა ამერიკაში. „როცა შარუნასი „უორიორზის“ ფორმაში დავინახე, თვალებს არ დავუჯერე. როგორც იქნა აისრულა ოცნება!“ — თქვა მან.

მარჩიულიონისის დებიუტი შედგა „ფენიქს სანთან“ წაგებულ მატჩში (106:136). „მარჩენომ“ მოედანზე 24 წუთს დაყო და გუნდს მოუტანა 19 ქულა, ამასთან ცხრა საჯარიმოდან ცხრავე ჩააგდო. ბარიერი გადალახული იყო!

ტრადიციისამებრ, სპრინგფილდის კალათბურთის დარბაზში მარჩიულიონისმა ბურთზე თავისი ხელით წააწერა ნბა-ს რიგებში მოგროვილი პირველი ქულების რაოდენობა.

მარჩიულიონისმა მალე იყიდა თავისთვის „მერსედეს-ბენცის“ მარკის ავტომობილი, მეუღლისათვის კი — „ტოიოტა“.

შარუნასი, როგორც ყველა ახალბედა, პრესისა და ტელევიზიის ყურადღების ცენტრში მოექცა. იგი ჯერჯერობით მართლაც ამართლებს ამ „პატივს“ თავისი კარგი თამაშით.

პრესაში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა მარჩიულიონისისა და დან ნელსონ მეორის (მთავარი მწვრთნელის ვაჟის) მეგობრობას. მათი პირველი შეხვედრის დროს უმცროს ნელსონს მოეწონა შარუნასი, როგორც პიროვნება. იმ დღიდან დაიწყო მათი მეგობრობა. „როდესაც დანი უმცროსი ჩემს გვერდითაა, არავის დახმარება აღარ მინდა“, — ამბობს შარუნას მარჩიულიონისი. ის ოპტიმისტურად არის განწყობილი. ერთ-ერთი მატჩის შემდეგ, რომელიც „უორიორზმა“ ფენიქსში ჩაატარა, მარჩიულიონისმა პრესაში განაცხადა: „ახლა მე ვიცი, რომ შემიძლია თანაბარი ძალით ვეთამაშო ნბა-ს ნებისმიერ კალათბურთელს!“

მოამზადა **დიმიტრი ობოლაძემ**

# ამერიკული ფეხბურთი პლანეტას იპყრობს

სპორტის სახეობა, ჯერ კიდევ სულ ახლახან ამერიკის ფარგლებს გარეთ ლამის ეგზოტიკურად რომ ითვლებოდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, დღეს პირდაპირ კოსმოსური სიჩქარით იხვეჭს პოპულარობას სხვა კონტინენტებზე. ამ გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა შარშან, როცა ამერიკული ფეხბურთის მსოფლიო ლიგა შეიქმნა. სწორედ ლიგის თაოსნობით გადაწყდა ამ გაზაფხულზე პირველი საკონტინენტთაშორისო ტურნირის ჩატარება ათი გუნდის მონაწილეობით.

ასპარეზობაში, რომელიც 23 მარტს აიღებს სტარტს, გამოვა ამერიკის შეერთებული შტატების ექვსი წარმომადგენელი: „ბირმინგემ ფაიერი“, „საკრამენტო სერჯი“, „სან-ანტონიო რაიდერზი“, „ნიუ-იორკ ნაიტსი“, „ორლანდო ტანდერი“ და „რელეი-დიურემ სკაიჰოქსი“. შეჯიბრებაში მათთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ კანადის „მონრეალ მაშინი“ და ევროპის სამი გუნდი: „ბარსელონა დრეგონზი“, „ფრანკფურტ გელექსი“, „ლონდონ მონარქსი“.

ახლა ტურნირის ყველა მონაწილე შეკრებაზეა ორლანდოს (ფლორიდის შტატი) საწვრთნელ ბანკში. ასპარეზობის პირობებით, ევროპის გუნდებმა შემადგენლობაში უნდა შეიყვანონ ფეხბურთელები, რომელთაც ამერიკული პასპორტი აქვთ. ესენი უმთავრესად არიან ან აშშ-ის ფეხბურთის ეროვნული ლიგის ვეტერანები, ან ის მოთამაშენი, რომლებიც ამ ლიგის გრანდების შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ, აგრეთვე პროფესიულ კარიერაზე მეოცნებე პერსპექტიული ფეხბურთელები სტუდენტური გუნდებიდან. რაც შეეხება მსოფლიო ლიგის ორგანიზატორთა მიერ მთელი სიმკაცრით შერჩეულ 49 ევროპელს, ისინი ამერიკულ ფეხბურთში უმეტესად სხვა სახეობებიდან არიან მოსული — მძლეოსნობიდან ვიდრე რაგბიმდე. იღბლიანთა შორის აღმოჩნდა ახლახან შექმნილი პროფესიული კლუბის „მოსკოვსკიე მედვედის“ ორი მოთამაშე, ყოფილი რაგბისტები — 23 წლის ოლეგ საპეგა (სიმაღლე — 195 სმ, წონა — 108 კგ) და ვლადიმირ გეორგიევი (სიმაღლე — 192 სმ, წონა — 112 კგ).

მსოფლიო ლიგის პირველი ჩემპიონატი ორ თვეს გასტანს და 27 მაისს დამთავრდება. პირველი ეტაპის შეხვედრები ორ წრედ ჩატარდება: თითოეული გუნდი 9-9 მატჩს ითამაშებს შინ და მეტოქის მოედანზე. ამას უნდა მოჰყვეს შეხვედრები „პლეი-ოფ“ სისტემით წინასწარი შეჯიბრებების შემდეგ პირველ ოთხ ადგილზე გასული გუნდებისთვის. 1 და 2 ივნისს მოეწყობა ნახევარფინალური შეხვედრები, ხოლო 9 ივნისს ფინალური მატჩია დანიშნული.



# თავისი თავის მსაჯული

სან-დიეგოს ამერიკული ფეხბურთის გუნდში ახალწვეული გამოჩნდა. ეს გახლავთ მსოფლიო რეკორდსმენი... ბირთვის კვრაში რენდი ბარკლი, რომელსაც მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ შარშან აგვისტოში დისკვალიფიკაცია მისცა აკრძალული ნივთიერებების — სტეროიდების გამოყენების გამო.

სპორტსმენმა არაერთგზის მიმართა სასამართლოს პროტესტით, იმედი ჰქონდა, რომ რეაბილიტაციას მიაღწევდა და ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის საშუალება მიეცემოდა. მაგრამ მსოფლიო მძლეოსნობის ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება არ შეცვალა და ამით რეკორდსმენს სარბიელზე ვადამდე დაბრუნების ყოველგვარი იმედი გადაუწურა. მაშინ თვითონ სპორტსმენმა გამოუტანა თავის თავს სხვაგვარი განაჩენი. სანამ მძლეოსანთა შეჯიბრებებში კვლავ გამოჩნდებოდეს, ბარკლიმ გადაწყვიტა „არ გაცდეს“ და სხვა სახეობაში სცადოს ბედი. სხვათა შორის, იგი ამერიკულ ფეხბურთში წარმატებით იცავდა ჯერ კიდევ თავისი კოლეჯის გუნდის ღირსებას.

## აქეთური, იქითური...

მსოფლიო ჩემპიონმა ციგურაობაში გუნდე კლემანმა განაცხადა, რომ 1992 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ გამოეთხოვება დიდ სპორტს. ცნობილი სპორტსმენი აპრილში ჯვარს იწერს. მისი მეუღლე ძიუდოისტი დეტლეფ ნიმანი გახდება. ასე, რომ ალბერვილიდან დაბრუნების შემდეგ (სადაც კლემანი ოლიმპიური ოქროს მოპოვებას იმედოვნებს) მთელ თავის დროს ოჯახს მოუძღვნის.

■ ■ ■

ფიგურულ ციგურაობაში ფრანგ და-ძმა დუშენეების წყვილმა დიდი პოპულარობა მოიხვეჭა და, როგორც ჩანს არა მარტო გულშემატკივართა შორის. ცნობილი გახდა, რომ იზაბელ დუშენე ცოლად მიჰყვება ახლო წარსულში არანაკლებ პოპულარულ და გაცილებით ტიტულიან ინგლისელ მოციგურავე ქრისტოფერ დინს (ჯეინ ტორვილ-ქრისტოფერ დინის წყვილი გულშემატკივრებს კარგად უნდა ახსოვდეთ). ჯვრისწერა 18 მაისისთვისაა დანიშნული.

■ ■ ■

რომის საფეხბურთო კლუბმა „ლაციომ“ გადაწყვიტა ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურისა“ და ინგლისის ნაკრების საუკეთესო ფეხბურთელის პოლ გესქოინის შეძენა. ამისათვის იტალიელები მზად არიან 8 მილიონი ფუნტი სტერლინგი გადაიხადონ. როგორც ჩანს, გულშემატკივართა პროტესტის მიუხედავად, კლუბის რთული ფინანსური მდგომარეობა „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ხელმძღვანელობას აიძულებს მაინც შეელიოს თავის ვარსკვლავს.

■ ■ ■

იუგოსლავიის სახელმწიფოს დაშლა ქვეყნის სპორტულ ცხოვრებასაც უნდა შეეხოს, თქვა ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა. მან აღნიშნა, რომ ფედერაცია აპირებს ფიფაში გაწევრიანების შესახებ განცხადების შეტანას. ამჟამად იუგოსლავიის ჩემპიონატის პირველი ლიგის 19 გუნდიდან 5 ხორვატიიდანაა.

■ ■ ■

გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრების თავდამსხმელმა, მსოფლიო ჩემპიონმა იურგენ კლინსმანმა გადაწყვიტა ორ მეგობართან ერთად გახსნას სპორტული მაღაზია გაისლინგენში, შტუტგარტის მახლობლად. მაღაზიას დაერქმევა „სპორტ 8“.

■ ■ ■

შესანიშნავი ამერიკელი ჩოგბურთელი ალტეა გიბსონი, რომელიც თავის დროზე პირველი შავკანიანი ჩოგბურთელი იყო, ვინც უიმბლდონის ტურნირში გაიმარჯვა, ასევე პირველი შავკანიანი სპორტსმენია, რომელიც მონაწილეობს პროფესიონალ გოლფისტთა შეჯიბრებებში.

■ ■ ■

ლეგენდარული ბელგიელი ველომრბოლი ედი მერქსი, რომელმაც 15 წლის წინ შეწყვიტა თავისი ბრწყინვალე პროფესიული კარიერა, თავისი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის ადმინისტრაციულ საბჭოში აირჩიეს.

■ ■ ■

ხმები იმის შესახებ, რომ მოყვარულ ველომრბოლთა ყველაზე პოპულარული მრავალდღიანი შეჯიბრება „მშვიდობის ველორბოლა“, შეწყვეტს თავის არსებობას, არ გამართლდა. როგორც საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტი პრაღიდან იუწყება, რიგით 44-ე რბოლა 6 მაისს ჩეხოსლოვაკეთის დედაქალაქში დაიწყება და 14 მაისს ვარშავაში დამთავრდება. დამტკიცდა აგრეთვე რბოლის ტრასა, რომლის მანძილიც 1250 კმ-ია და 8 ეტაპად არის დაყოფილი.

აქეთური, იქითური...

„სარბიელის“ სპონსორია კოოპერატივი „ტრანსკავშირი“

გამოდის პარასკეობით
სარბიელი
ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380060, ცაგერის ქ. №6, ბ.30.
გაზეთ „სარბიელის“ რედაქცია.
ტელეფონი: 38-39-93.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ქსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორქია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი.
კომერციული დირექტორი შოთა ჭულუხაძე.